ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 18 (1392)

17-24 სექტემბერი, 1994 წელი

ზეიკიძის ბრალდებები...

ხაბეიშვილისა და ჟვანიას პასუხები...

ამ დღეებში მკითხველს ათასგვარი თავსატეხი გაუჩინა გაზეთ „სარანგში“ გამოქვეყნებულმა პოლიციის ყოფილი შეფის დავით ზეიკიძის „აღსარებამ“, რომელშიც იგი ბრალს დებს მაღალი თანამდებობის პირებს დანაშაულებრივ საქმიანობაში. ამგვარი ბრალდებების შემდეგ ნორმალურ ქვეყანაში დიდი სკანდალი ატყდებოდა. აქ კი ყურიც არავის შეუბერტყია. იძულებულნი გავხდით ჩვენ მიგვემართა ზეიკიძის ბრალდებათა ადრესატებისათვის. დღევანდელ ნომერში გთავაზობთ ბატონ ზურაბ ჟვანიასა და ბატონ სოლიკო ხაბეიშვილის პასუხებს.

მომავალ ნომერში სხვა თანამდებობის პირებსაც ექნებათ პასუხის გაცემის საშუალება.

ბატონ დავით ზეიკიძეს კი, რეაგირების შემთხვევაში, ვთხოვთ მობრძანებას რედაქციაში ნებისმიერი პარიკით და მის პასუხსაც სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.

სოლიკო ხაბეიშვილი:

ბერად შედგომას არ ვაპირებ

— ბატონო სოლიკო, ა.წ. 25 აგვისტოს „სარანგში“ გამოქვეყნდა ზეიკიძის წერილი „პოლიციის გენერალ-მაიორის დ.ზეიკიძის აღსარება“, სადაც ბ-ნი ზეიკიძე თქვენს ფონდზე წერს: „შეამოწმონ შევარდნაძის ფონდი. რა გზებით მიითვისა მისმა მეგობარმა, რომელიც ნასამართლევი იყო მექრთამეობისათვის, სოლიკო ხაბეიშვილმა, ყველაზე კარგი შენობა თბი-

დასასრული მე-2 გვ.

საქართველოს გადარჩენა შეგვიძლია!

ნოდარ ნათაძე

წინამდებარე ტექსტის მიზანია იმის კონკრეტულად ჩვენება, რა უნდა გაკეთდეს, რათა საქართველომ თავი დააღწიოს დღევანდელ კრიზისს, საქართველოს გადარჩენა დღეს შესაძლებელია. კერძოდ ჩვენ შეგვიძლია:

ა) დროებით დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება;

ბ) ჩვენი სახელმწიფოებრიობის დაცვა;

გ) წესრიგის დამყარება;

დ) ეკონომიკური კეთილდღეობის შექმნა.

ამას სჭირდება ქვეყნის ერთგული, გონივრული და პატიოსნური მართვა, რაც სრულებითაც არ მოითხოვს მის სათავეში გენიოსების დგომას. ამ ამოცანის გადაწყვეტა საშუალო ნიჭის, ჩვეულებრივი ადამიანების გუნდსაც შეუძლია, ვინაიდან ის ღონისძიებები, რომელიც უნდა გატარდეს ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად, კაცობრიობისათვის კარგად ცნობილი, ქრესტომათიული ღონისძიებებია.

ქვემოთ ჩამოთვლილია 30 ასეთი ღონისძიება, მათი გატარება ხელისუფლების მიერ, დამსახურება არ არის (ეს მოვალეობაა და არა დამსახურება), მათი არგატარება კი დანაშაულია.

გაგრძელება მე-6,7 გვ.

დვალიშვილი — უზნეო პოლიტიკის მსხვერპლი

ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის, დემურ დვალიშვილის თვითმკვლელობამ ათასგვარი ჭორი და მითქმა-მოთქმა ააგორა ქალაქში და ალბათ მთელს რესპუბლიკაში.

სამწუხაროდ, ოფიციალური ინფორმაციის გარდა, ამ ტრაგიკული ფაქტის შესახებ ვერაფერი შევიტყვეთ. მოწმის სახით დაკითხვაზე დაბარებული დვალიშვილი, მას შემდეგ, რაც მდივანთან დააპირისპირეს, გარეთ გამოდის, სკამზე ჯდება,. იღებს იარაღს და თავის არეში ისვრის.

რა მიზეზი შეიძლებოდა ჰქონოდა ამ თვითმკვლელობას, ამის წარმოდგენა ძნელი არ არის. მაგრამ კაცი, რომელსაც თავის მოკვლა შეუძლია, უღირსებო კაცი ვერ იქნებოდა. ბატონ დვალიშვილის ეროვნული ბანკის პრეზიდენტობის პერიოდში, ჩვენს გაზეთში, მის ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე უამრავი კრიტიკული მასალა გამოქვეყნდა. სხვა გაზეთი კი ქება-დიდებას სწირავდა, მფარველობდა თვით სახელმწიფოს მეთაურიც, ახლა კი, როგორც ჩანს, ყველამ ხელი დაიბანა და...

დემურ დვალიშვილი უზნეო პოლიტიკის მსხვერპლია. მან მხოლოდ საკუთარ თავს კი არა, ამ უზნეობის არქიტექტორებსაც ესროლა, მისით ხელგამართული რედაქტორები იქნებიან ისინი, კრედიტით გამდიდრებული პარლამენტარები თუ მაღალი ჩინის სახელმწიფო მოხელეები.

ასე აცხადებს ძალლთაპირი არძინბა

ამ ორი დღის წინ რედაქციაში დაგვირეკა აფხაზეთიდან ლტოლვილმა ქალბატონმა და ასეთი რამ გვიამბო: სოხუმიდან თბილისში, რა თქმა უნდა, დიდი შემოვლითი გზებით ჩამოსულა იქაური მისი კარგი მეზობელი, ბუნებრივია, არაქართველი და ასეთი რამ მოუყოლია მისთვის: ორი-სამი კვირის წინ სოხუმის ტელევიზიით გამოსულა ვლადისლავ არძინბა და მიუმართავს მოსახლეობისათვის იმის თაობაზე, რომ 14 მაისის ხელშეკრულებით ჩვენ გვაძალებენ ქართველი ლტოლვილების დაბრუნებასო, მაგრამ აბა მითხარით, სახლიდან ნაგავს რომ გაიტანთ, იმ ნაგავს ისევ უკან შემოიტანთო?

ამ ინფორმაციის სისწორეზე თავს ვერ დავდებთ, მაგრამ ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ ფაშისტ არძინბას შეეძლო ასეთი რამის თქმა.

თუმცა, რაღა თქმა, როცა უკვე საქმითაც ამტკიცებს თავის ნათქვამს და მის მიერ ნაგავს შედარებულ ქართველ ხიზნებს არაფრისდიდებით არ აბრუნებს უკან, მშობლიურ მიწაზე.

ბერად შედგომას არ ვაპირებ

პირველი გვერდიდან

ლისის ცენტრში... სოლიკო ხაბეიშვილსა და მხედრიონს ჩხუბი მოსდით, ეს შენობა არა ჩემია და, არა ჩემიო".

— რაც შეეხება ხაბეიშვილის მექრთამეობას, ეს ცილი სწორედ ზეიკიძისთანა ხალხმა დამწამა.

ზეიკიძეს პრეტენზია აქვს შენობაზე. ამ დროს არავითარი ამდაგვარი ჩვენ არ გაგვაჩნია. თუმცა იყო შენობა, რომელიც ჩვენ გადმოგვეცა, მაგრამ იგი ამერიკის საელჩოს დავუთმეთ და დავრჩით ქუჩაში უბინაოდ, რის გამოც შეგვიკედლა ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლმა. ეს იყო დანგრეული ფლიგელი, რომელიც ჩვენი ხელით შევაკეთეთ, თუმცა იგი დღესაც ავარიულ მდგომარეობაშია.

რაც შეეხება ჩხუბს ჩემსა და მხედრიონს შორის შენობის გამო, ასეთი რამ საერთოდ არ მომხდარა და საიდან მოიტანა ზეიკიძემ, არ ვიცი.

— ბ-ნო სოლიკო, დ.ზეიკიძე ამავე გაზეთში ამბობს: „ამ ფონდის იმედი მთელს საქართველოს ჰქონდა, შევარდნაძე საქართველოს ააშენებსო, ის კი არა და, მათ გაყვლიფეს საქართველო. შექმნან კომისია და გაარკვიონ, რას აწარმოებს ეს ფონდი".

— აღსანიშნავია, რომ შევარდნაძის ფონდში პირველი შენატანების შემდეგ, იგი კი სულ შეადგენდა დაახლოებით 250 000 დოლარს, არავის არაფერი აღარ შემოუტანია.

ჩვენს ფონდს, სხვების მსგავსად არავითარი კრედიტი არ აუღია. ხოლო ის ფული, რაც შემოტანილია, კვლავ ხელუხლებლად გვაქვს და თუ ვინმეს რაიმე პრეტენზია გაუჩნდება, მობრძანდეს და თავად დარწმუნდება ჩვენს სისუფთავეში. ეს არის ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც თავის თავზე არაფერს არ ხარჯავს, ის რაც მას გააჩნია, ანდომებს ქართული კულტურის, ბიზნესისა და ეკონომიკის განვითარებას. დღეს საქართველოში ისეთი სიტუაციაა შექმნილი, თითქოსდა არავინ არაფერს აკეთებდეს, სინამდვილეში ჩვენ ბევრი სასიკეთო საქმე გავაკეთეთ, მაგრამ გავაკეთეთ უანგაროდ, ჩუმად, ყოველგვარი ხმაურისა და აჟიოტაჟის გარეშე. ვცდილობთ გამოვადგეთ საქართველოს. ამჟამად გუდაურში ვაშენებთ სასტუმროს. გვინდა ტურიზმი განვითარდეს და იქცეს ერთ-ერთ შემოსავლის წყაროდ ჩვენი ქვეყნისთვის. დღესაც ვეხვეწები ქალაქის საბჭოს გადმოგვცეს სასტუმრო „თბილისი" ასაშენებლად, რისთვისაც თავადვე გამოვძებნიდი ინვესტიციებს, მაგრამ... ყველას ყველაფერი თავისი საკუთრება ჰგონია და რატომღაც ყველაფერს ჩემულობენ.

რაც შეეხება კომისიას, 1 თვის უკან ჩვენთან იყო მთაწმინდის რ-ნის საგადასახადო ინსპექცია, რომელმაც ჩაატარა რევიზია. შესაბამისი დასკვნაც გამოტანილია. ასე რომ, არავითარი დარღვევა ჩვენთან აღმოჩენილი არ იყო.

მინდა საზოგადოებას ავუხსნა, რომ ეს ფონდი არც შევარდნაძის საკუთრებაა და არც ხაბეიშვილისა. არსებული ქონება მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებას ეკუთვნის, მეტს არავის. ჯერ მარტო საქველმოქმედო საქმიანობაზე ჩვენი ფონდიდან 3-ჯერ მეტი დაიხარჯა, შემოტანილ თანხებთან შედარებით.

იყო შემთხვევა, როდესაც ჩვენგან გაიცა დიდი რაოდენობის თანხა. იგი მერაბ კოსტავას ქალიშვილს გადაეცა 2 წლის უკან და შეადგენდა 17 000 დოლარს, თუმცა ჩემით არავისთვის არაფერი მიმიცია. მაშინ თამთა კოსტავას ყველა პატრონობდა, მათ შორის შევარდნაძე და ჯაბა.

— ბ-ნო სოლიკო, თქვენზე უამრავი ჭორი დადის. ახლახანს გავრცელდა ხმა, რომ თითქოს თავს ანებებთ სამსახურს და ბერად შედგომას აპირებთ...

— ბერად შედგომას რაც შეეხება, მე ღმერთის წინაშე, როგორც შემეძლო, ისე მოვიხადე ვალი. რუსთავის კოლონიაში ჩემი სახსრებით ავაგე ეკლესია, რითაც ყველა ვერ დაიტრაბახებს. ბერად შედგომა ჩემს მრწამსს ეწინააღმდეგება. მე არა ვარ მისთვის გაჩენილი. ფონდი — დღეს არის საშუალება, ვაკეთო საქართველოსთვის ის, რაც მე მინდა. მე მაქვს ჩემი მიზნები, რომელიც 100%-ითაა დაკავშირებული საქართველოსთან, ასე რომ, მე წასვლას არსად არ ვაპირებ.

ისე კი, ჩემზე ბევრი ჭორები დადის. ისიც ვიცი ვინც მივრცელებს მას და რატომ მივრცელებს. ზოგიერთებს ისიც კი შურთ, რომ მე ციხეში ვიჯექი, რადგან ეს უკვე ბიოგრაფიაა.

დაბოლოს, თუ რითი არსებობს შევარდნაძის ფონდი, ამის შესახებ თუ ინებებთ, თქვენს გაზეთს მალე მოვწერთ ინფორმაციას.

— გმადლობთ.

ესაუბრა
ირმა ლომაური.

ზურაბ ჟვანია:
გატაცებული გვქონია 170 მილიარდი?!

— ბ-ნო ზურაბ, მიმდინარე წლის 25 აგვისტოს გაზეთ „სარანგში" გამოქვეყნდა წერილი სათაურით „პოლიციის გენერლის დავით ზეიკიძის აღსარება", სადაც იგი უამრავ ბრალდებას გიყენებთ. ერთი შეხედვით დამაჯერებლად ამტკიცებს თქვენს მიერ 170 მილიარდი მანეთის მითვისებას სახელმწიფო ხაზინიდან, რის გამოც იძულებული გახდით ყველა შემთხვევაში დაუჭიროთ მხარი სახელმწიფოს მეთაურს. დ.ზეიკიძე ამბობს: „უმრავლესობა შეშინებულია იმით, რომ არ გამოაქვეყნონ სხვადასხვა მაქინაციებში მონაწილეობის ფაქტები და იძულებულნი არიან უპირობოდ დაუჭირონ მხარი. თუ არ გჯერათ, ერთი სცადოს ზურაბ ჟვანიამ გადაუდგეს და ნახავთ, თუ არ დაუდებენ წინ მასალებს 170 მილიარდი მანეთის გატანის შესახებ".

— რაც შეეხება უმრავლესობას და მისი წევრი დეპუტატების შიშს, რომ შევარდნაძის დაპირისპირების შემთხვევაში რამეს გამოაქვეყნებენ, ყველამ კარგად ვიცით, რომ თავის ყველაზე მკვეთრ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთანაც კი, რომლებიც არანაირ მეთოდებს არ თაკილობენ შევარდნაძესთან ბრძოლაში და რომლებზედაც საკმაოდ ბევრია მასალები. ამ მასალების გამოქვეყნება კი პრაქტიკულად არ ხდება.

ოპოზიციონერთა დაშინების მცდელობა ნამდვილად არსებობდა

— დ.ზეიკიძე თქვენ გამხელთ ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწეთა მოტაცებისა და დაშინების მცდელობაში.

— რაც შეეხება ოპოზიციის წარმომადგენელთა დაშინების მცდელობას, ამას ნამდვილად ჰქონდა ადგილი, მაგრამ რა თქმა უნდა არა ჩემი ან მოქალაქეთა კავშირის ან სხვა წევრთა, არამედ თავად მაშინდელი პოლიციმეისტერის მხრიდან. საზოგადოებას ალბათ თავად ახსოვს ამის მრავალი მაგალითი.

ჩემს პოზიციას რაც შეეხება, არა მარტო ჩემი კავშირის წევრებმა, არამედ ჩემმა პოლიტიკურმა ოპონენტებმაც შესანიშნავად იციან, რომ კავშირში მოსვლის დღიდან მეც და ჩემი მეგობრებიც ყველანაირად ვებრძოდით ნებისმიერი რადიკალიზმის გამოვლინებებს.

ზეიკიძის პუბლიკაცია ფსიქიატრის ანალიზს მოითხოვს

მართალი გითხრათ, ცოტა შეურაცხმყოფელად მიმაჩნია, ზეიკიძის ე.წ. ბრალდებებზე პასუხის გაცემა. მის პუბლიკაციაში გარკვევა უფრო სამართალდამცავი ორგანოების და ვგონებ ფსიქიატრების საქმე არის, ვიდრე პოლიტიკოსებისა. სამწუხაროდ, ასეთი ადამიანები ნებისმიერ პოლიტიკურ ბანაკში მოიძებნებიან ხოლმე, როდესაც არსებობს იმგვარი გამოცემები და რაც მთავარია პარტიული გამოცემები, ვინც მზად არის ზეიკიძისმაგვარი მისი მსგავსი სიყალბისა და სიბინძურის გამოსაქვეყნებლად.

შესაძლოა რამოდენიმე დღის თუ კვირის განმავლობაში ასეთი პუბლიკაცია გაზეთს პოპულარობას, თუნდაც სკანდალურს ანიჭებდეს, მაგრამ საბოლოო ჯამში ეს იწვევს საზოგადოების ზნეობის, საერთოდ ადამიანთაშორისი ურთიერთობის ელემენტარული წესების სრულ მოშლას. ეს არის საზოგადოების სიკვდილი.

სასაცილო კი არა სატირალია, როდესაც ადამიანი, რომელმაც პობულარობა მოიპოვა იაფფასიანი შევარდნაძისტობით, რომელიც ტელევიზიით თუ პრესით ოპოზიციას კანონების მიუხედავად მუდმივი დარბევითა და განადგურებით ემუქრებოდა, იფიცებოდა შევარდნაძისადმი თავდაუზოგავ სიყვარულში და რომელიც დღეს მის მიერვე შეურაცხყოფილი ოპოზიციური გაზეთის ფურცლებიდან შევარდნაძეს სდებს ბრალს თავის პრინციპებისადმი ღალატში.

კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ უბედურება არა მსგავსი ადამიანების არსებობაშია, არამედ იმაში, რომ იძებნება ძალები, ვინც ამგვარ ადამიანებს იყენებს.

ცილისწამება ანგარიშსწორებისათვის

კიდევ ერთხელ მინდა თქვენი გაზეთის ფურცლებიდან გამოვაქვეყნო, რაც მრავალჯერ მითქვამს და გამოვაქვეყნეთ, რომ აღნიშნული მილიარდების საქმე არის ძალიან ბინძური ცილისწამება, რომელიც მით უფრო მტკივნეულია ჩემთვის, რამდენადაც ყველამ, ვინც ეს პროვოკაცია გამოიყენა ჩემს წინააღმდეგ პოლიტიკური ანგარიშსწორებისათვის, სხვებზე უკეთ იცოდნენ, თუ საუბარი რაზე იყო. ბრწყინვალედ იყვნენ ინფორმირებულნი იმის შესახებ, რომ არც ზ.ჟვანიას და არც მწვანეებს არასოდეს არ უსარგებლიათ სახელმწიფო ხაზინის არც ერთი კაპიკით.

საზოგადოდ, მინდა აღვნიშნო, რომ დღეევანდელ არეულ პერიოდში ზედმეტად ადვილი ხდება ადამიანისათვის ჩრდილის მიყენება სწორედ იმ კუთხით, სადაც ის ყველაზე დამშვიდებულად გრძნობს თავს. ეს შეხება არა მხოლოდ მე, არამედ იმ ბრალდებებს, რასაც უყენებენ ბ-ნ ნ.ნათაძეს. მე მისგან რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები მაქვს, მაგრამ ამავე დროს დარწმუნებული ვარ მის სრულ უანგარობაში და სისუფთავეში ნებისმიერ ფინანსურ საკითხთან დაკავშირებით. არც ოპოზიციამ და არც უმრავლესობამ არ შეიძლება პოლიტიკური ბრძოლა წარმართონ მსგავსი ბინძური მეთოდებით.

გთავაზობთ კონტროლს ჩემს მაცივარზე

დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი სახიფათო ტენდენციები თუ არ აღმოიფხვრება და ჩვენ არ დავერიდებით ერთმანეთთან ბრძოლისას არასწორ ხერხებს, ქართული საზოგადოება დაკარგავს ყოველგვარ სახეს.

და ბოლოს, თუ ვინმეს რამე ეჭვი ეპარება ჩემში და ჩემს პატიოსნებაზე, ვთავაზობ დააწესოს სრული კონტროლი, თუნდაც ჩემი და ჩემი ოჯახის ცხოვრების წესზე. თუ უნდა ყოველდღიურად შეამოწმოს ჩემი მაცივარი.

ბ-ნი ჟვანია უჩივის ზეიკიძეს სასამართლოში

— ბ-ნო ზურაბ, რა შეფასებას მისცემდით დ.ზეიკიძის ბრალდებებს?

— ეს არის საკითხი, რომელზეც ნორმალურ საზოგადოებაში ადამიანმა უნდა შეიტანოს სასამართლოში საქმე, და ასეც მოვიქცევი, მაგრამ ძნელია ელოდო კონკრეტულს სასამართლოსაგან იმ ადამიანთან მიმართებაში, რომელიც შეიარაღებული რაზმით შემოიჭრა პარლამენტში და სრულიად დაუსჯელი დარჩა ამგვარი ქმედების შემდეგაც. რაც შეეხება კონკრეტულად ჩემს „მილიარდებს", ციფრი 170 პირველად გავიგე ბ-ნ ზეიკიძის სტატიისგან. როგორც წესი, ჩემი ტრადიციული „კეთილმოსურნეები" ბრალს მდებენ 102 მილიარდის გატაცებაში. როგორც ჩანს, ბ-ნმა ზეიკიძემ დიდი ფიქრისა და ანგარიშის შემდეგ დაასკვნა, რომ გატაცებული მქონია 170 მილიარდი.

სერიოზულად რაც შეეხება ამ თემას, ნებისმიერი ბრალდება რაღაც ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით ჩემთვის განსაკუთრებით მტკივნეულია და ამიტომაც როდესაც პირველად გაიჟღერა ამ საკითხმა მილიარდების შესახებ, კატეგორიულად მოვითხოვე შექმნილიყო საგანგებო საპარლამენტო კომისია სიმართლის გამოსარკვევად. როგორც გახსოვთ, კომისიას ხელმძღვანელობდა თემურ ბასილია, მან გაავრცელა წერილობითი დასკვნა, იგივე საკითხი შეისწავლა კონტროლის პალატამაც. ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რომ ორივე შემთხვევაში გამოკვლევას აწარმოებდა ჩვენი პოლიტიკური ოპონენტები.

კონტროლის პალატამაც და საპარლამენტო კომისიამაც დაადასტურეს, რომ არანაირი მილიარდების გატაცებაზე საუბარი არ ყოფილა. უნდა აღინიშნოს, რომ იყო მცდელობა საქართველოსთვის ძალიან მძიმე პერიოდში, როდესაც პრაქტიკულად ფინანსური სახსრები არ არსებობდა, ხოლო ქვეყანაში თვეების განმავლობაში არ გაიცემოდა ხელფასი, განხორციელებულიყო სახელმწიფოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პროექტი.

სახელდობრ: მომხდარიყო თანხის გადარიცხვა რუსეთში და შემდგომ მისი კონვენტაცია. ამ პროექტის განხორციელების შედეგად საქართველოს რესპუბლიკას ფარატინა ქაღალდის ნაცვლად უნდა მიეღო დაახლოებით 100 მილიონი დოლარი. ეს რა თქმა უნდა არ იყო ორდინალური ოპერაცია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის მხრიდან ფინანსური ბლოკადის პირობებში მსგავსი მცდელობები უეჭველად იყო გამართლებული.

უფრო მეტიც, ცნობილი არის,რომ იმავე პერიოდში, ლაპარაკია 1992 წლისა და 93 წლის დასაწყისზე, ანალოგიური ოპერაციების შედეგად საგრძნობლად შეივსეს სახელმწიფო ხაზინა უკრაინამ, ჩეჩნეთმა, ბალტიის რესპუბლიკებმა. ის კონკრეტული პროექტი სამწუხაროდ ჩაიშალა.

კომისიებმაც და კონტროლის პალატამაც დაადასტურეს, რომ მსგავსი რამ არამც თუ არ მომხდარა, არამედ ამის მცდელობაც კი არ ყოფილა, რაც ძალიან ნათლად ჩანს არსებულ დოკუმენტაციაში და ამაში ნებისმიერს შეუძლია დარწმუნდეს.

ესაუბრა
ირმა ლომაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

1924-1994

70 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სკვითთა წინააღმდეგ აჯანყებულ ქართველთა საუკეთესო ნაწილი უმოწყალოდ იქნა ნაწამები და ამოხოცილი.

1924 წელი ისტორიას არა და არ ჩაბარდა, საუბედუროდ, იგი დღესაც ღია ჭრილობაა ჩვენს ეროვნულ სხეულზე, იმავე სკვითებმა, კიდევ უფრო რომ ჩააღრმავეს აფხაზეთში ჩახოცილი ათი ათასობით ქართველის სახით.

გალაკტიონ ტაბიძე

მოგონებები იმ დღეებისა, როცა იელვა

(ნაწყვეტი)

ქალაქს მოავლეს გარშემო ალყა
და ერთხელ, დილით,
მძიმე ტანკების მოინგრა ტალღა
ბოროტი ჩრდილით.
მთელი სამი დღე გაგრძელდა სროლა.
სისხლიც ათავდა,
ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა
მწარედ გათავდა.
დაჭრილი, მკვდარი, მრავალი მსხვერპლი
მსხვერპლს ეფარება,
სახლების ნაცვლად ნაცარი, ფერფლი,
მგლოვიარება.
გამარჯვებულნი სასტიკი ხელით
აღრჩობენ ტყვეებს.
ჰკაფავენ, ხვრეტენ, ხალხის სახელით
უსპობენ დღეებს.
ქურდები ღამით საფლავებს თხრიან
მოკლულთა ცხედრებს...
გაზები ღრუბლებს შორიდან ყრიან
ლურჯებს და თეთრებს.
რბის ორი ძაღლი: მათ ისტორია
ვერ დააფეთებს,
პირიდან გლეჯენ ერთიმეორეს
ხორცის ნაფლეთებს.
და მთელი კვირა სადგურის იქით
მატარებელი
იდგა. შიგ მკვდრები ეყარა რიგით
უფარებელი.

[1921-1924]

დიდი გაკვეთილი

აკაკი ბაჭრაძე

როცა მფრინავი საღარა ლევან ორბელს შეატყობინებს — საქართველოში აჯანყება მზადდება, იგი მალე დაიწყება, ქართველთა ამბოხებას მიჰყვება სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილოეთ კავკასიის ინსურგენცია, ევროპაც მხარში ამოგვიდგება და მთელი კავკასიიდან რუსეთს გავაძევებთო — ავის მოლოდინით შეძრწუნებული ლევან ორბელი თავში შემოიკრავს ხელს და სასოწარკვეთილი წამოიძახებს — შეშლილობაა, სიგიჟეა, არავინ აჯანყდება — არც სომხეთი, არც აზერბაიჯანი, არც ამიერკავკასია, არც ევროპა დაგვეხმარება, უმოკავშირეოდ, უამხანაგოდ და უმეგობროდ დარჩენილი საქართველო მარტოდმარტო ჩაუვარდება ხელში გაცოფებულ რუსეთს და მიწასთან გაასწორებენო (გრიგოლ რობაქიძე — „გრაალის მცველნი“).

1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში იმთავითვე ორგვარი დამოკიდებულება რომ არსებობდა, ამას ამბოხების ერთ-ერთი მეთაური და უშუალო მონაწილე შალვა ამირეჯიბიც ადასტურებს („სამშობლო“, 1929 წ., №2; პარიზი), ერთნი მომხრენი ყოფილან აჯანყებისა და მეორენი — წინააღმდეგნი. ყოველ საქმეში გათიშულობა, როგორც ჩანს, საქართველოს ბედისწერაა. მაგრამ არსებითი, გადამწყვეტი ის იყო, რომ აჯანყება სტიქიურ ხასიათს ატარებდა, მიუხედავად იმისა, რომ ამბოხების მეთაურობას პარიტეტული კომიტეტი კისრულობდა და იჩემებდა. მართალია შალვა ამირეჯიბი, როცა ამბობს, — „შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ აგვისტოს აჯანყება ვინმემ გადაწყვიტა, ან მისი თავიდან აცილება ვისმეს შეეძლო და არ ინდომა“ („სამშობლო“, 1929 წ., №2). ისტორიაში ხშირად ხდება,რომ ერის გულში დაგროვებული ვარამი ვულკანივით ამოხეთქავს. ამ პროცესის არც მართვა შეუძლია ვინმეს და არც შეჩერება. იგი თავისით ჩერდება, როცა ათეული წლობით დაგროვებული ბოღმა და სიძულვილი ამოიფრქვევა. ხალხის გული ამ ტვირთისაგან თავისუფლდება, წყნარდება და მშვიდდება. ამგვარი მოვლენა არა ერთი და ორი ყოფილა საქართველოს ისტორიაში. მაგრამ ისიც დასამახსოვრებელია, რომ აჯანყებას, თუნდაც დამარცხებულს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, როგორც ამას ამბობს 1924 წლის ამბოხების ერთ-ერთი მონაწილე. დამარცხებული აჯანყება გამარჯვებულზე არანაკლებ გამოხატავს ერის თვისებასა და სულისკვეთებას. გამონაკლისი არც 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაა.

პარიტეტულ კომიტეტში, რომელსაც აჯანყების მეთაურობა ევალებოდა, ხუთი პარტიის წარმომადგენლები შედიოდნენ. ეს პარტიებია — სოციალ-დემოკრატიული, ანუ მენშევიკური, ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალ-ფედერალისტური, სოციალ-რევოლუციური, ანუ ესერული და „სხიველები“ („სხიველები“ იგივე სოციალ-დემოკრატები იყვნენ, ოღონდ თანამოძმეთაგან მცირე იდეური დავის გამო გამოყოფილნი. „სხიველები“ კი იმიტომ ერქვათ, რომ ჟურნალ „სხივის“ გარშემო იყვნენ თავმოყრილნი).

მოვალეობით აჯანყების მეთაურობა პარიტეტულ კომიტეტს კი ევალებოდა, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ამ მოვალეობას იგი თავს ვერ ართმევდა. ამას, ჯერ ერთი, ის ადასტურებს, რომ პარიტეტული კომიტეტის წევრები წამდაუწუმ იცვლებოდნენ და, მეორეც, მის განკარგულებებს, მითითებებს თუ ბრძანებებს მაინცდამაინც ერთგულად არ ასრულებდნენ. ვის როგორ უნდოდა, ისე იქცეოდა. მარტო ის რად ღირს, რომ როცა აჯანყების წამი დადგა, სოციალ—ფედერალისტურმა პარტიამ, მზად არ ვართო და ამბოხებაში მონაწილეობაზე უარი თქვა (სოლომონ ზალდასტანიშვილი — „საქართველოს 1924 წლის ამბოხება“, 1989 წ., თბილისი, გვ. 34-35). პარიტეტულ კომიტეტს ერთი ბურჯი მაშინ გამოეცალა, როცა იგი ყველაზე მეტად იყო საჭირო.

მეთაური იმას ჰქვია, ვისაც დაწყებაც შეუძლია და დაწყებულის შეჩერებაც, თუ ამას აუცილებლობა მოითხოვს. ის მეთაურად ვერ ჩაითვლება, ვისაც ლიანგის სტიქიონი ფართხალ-ფართხალით მიათრევს.

მაშინდელი ვითარება დღევანდელს სხვა ნიშნებითაც ჰგავდა.

მაშინაც, როგორც დღეს, ყველას მოღალატეს ეძახდნენ, მიუხედავად იმისა, ჰქონდათ თუ არა ამის საბუთი. კონკრეტული მაგალითი: გენერალ გერმანე ღლონტს მოღალატეობა დასწამეს. ღალატი დასწამეს კაცს, რომელსაც ბოლშევიკ-კომუნისტებმა წამებით ამოხადეს სული, მაგრამ ვერცერთი შეთქმულის გვარი ვერ წამოაცდევინეს. ასეთი მაგალითი ერთი და ორი არ ყოფილა. უსაბუთო ცილისწამებანი, რაც შიშისა და დაბნეულობის შედეგი იყო, ქართულ საზოგადოებას შლიდნენ და ანგრევდნენ.

მაშინაც, როგორც დღეს, არ იცოდნენ, ვის რა საქმეს ავალებდნენ. სოლომონ ზალდასტანიშვილის მოწმობით, დამოუკიდებლობის კომიტეტმა გურიაში აჯანყების მოსამზადებლად გაგზავნა კაცი, რომელიც საერთოდ წინააღმდეგი იყო აჯანყების.

მაშინაც, როგორც დღეს, დაპირება და მოტყუება დიდად არ აწუხებდათ და არ ადარდებდათ. აჯანყების წინ ქაქუცა ჩოლოყაშვილი დაარწმუნეს, ექვსასი კაცით მოვალთ და გვერდით დაგიდგებითო. ექვსასის მაგიერ ას ორმოცი კაცი მოვიდა. დანარჩენი შინ დარჩენილა. საოჯახო საქმე გვაქვს მოსაგვარებელიო.

მაშინაც, როგორც დღეს, განკარგულების შესრულება და ვადის დაცვა აუცილებელ პირობად არ მიაჩნდათ. დათქმულ 29 აგვისტოს ნაცვლად ჭიათურაში აჯანყება 28 აგვისტოს დაიწყო. ამ საქციელმა ბოლშევიკ-კომუნისტების წისქვილზე დაასხა წყალი და აჯანყებულები დასამარცხებლად საბოლოოდ გასწირა.

დასასრული მე-4 გვ.

დიდი გაკვეთილი

მესამე გვერდიდან

მაშინაც, როგორც დღეს, ბევრი ავლენდა წინდაუხედაობას და ბედოვლათობას. აჯანყების სამეთაუროდ ევროპიდან გამოგზავნილ „მრავალნაცად ბელადებს" ბენია ჩხიკვიშვილს, ნოე ხომერიკს, ვალიკო ჯუღელს და სხვებს 25 წლის ბიჭი, მაშინ საქართველოს საგანგებო კომისიის (ЧК) უფროსის მოადგილე, ლავრენტი ბერია ბატის ჭუკებივით იჭერდა და ციხეში ყრიდა.

ვალიკო ჯუღელი ციხეში მიხვდა, რომ აჯანყება განწირული იყო. მეთაურთა უმრავლესობა საპყრობილეში იჯდა. იმათი ასავალ-დასავალიც ზედმიწევნით ზუსტად იცოდა საგანგებო კომისიამ, ვინც ჯერ კიდევ არ იყო დაპატიმრებული. რისღა იმედი უნდა ჰქონოდათ აჯანყებულებს? მაშინ ვ.ჯუღელმა გადაწყვიტა ეხსნა ხალხი უმოწყალო ხოცვა-ჟლეტისაგან. მან წერილით მიმართა საქართველოს საგანგებო კომისიის მაშინდელ უფროსს ეკვანტალიანს. დავრწმუნდი, რომ აჯანყება გარდაუვალი დამარცხების წინ დგას, — წერდა ვ.ჯუღელი. — მეთაურები, თითქმის ყველანი, დაპატიმრებულია. საგანგებო კომისიის აგენტებმა ყველაფერი იციან. ისინი შეგზავნილია აჯანყებულთა რაზმებში. ასეთ ვითარებაში ამბოხება გადაიქცევა დაუნდობელ ხოცვა-ჟლეტად. ეს განსაცდელი ხალხს უნდა ავაცილოთ. ამიტომ, გთხოვთ, გამათავისუფლოთ სამი დღით. მე შევძლებ აჯანყებულთა დარწმუნებას და ამბოხება აღარ მოხდება. თუ თქვენ გეშინიათ იმისა, რომ მე ვისარგებლებ შემთხვევით და გავიქცევი, მაშინ დამალევინეთ შხამი, რომელიც მხოლოდ სამ დღეს მაცოცხლებს. სამი დღე მეყოფა აჯანყებულთა სანახავად და დასარწმუნებლად.

ძნელია იმის თქმა, დაუჯერებდნენ თუ არა აჯანყებულები საგანგებო კომისიის ჯურღმულებიდან „განთავისუფლებულ" კაცს. ალბათ, უფრო არა, მაგრამ ვალიკო ჯუღელი ბოლშევიკ-კომუნისტებმა არც ციხიდან გაუშვეს და არც საწამლავი მისცეს. მისი წერილები კი, დაწერილი 12 აგვისტოსა და 24 აგვისტოს, გაზეთმა „კომუნისტმა" გამოაქვეყნა მხოლოდ 29 აგვისტოს, როცა აჯანყება უკვე დაწყებული იყო და წერილების დაბეჭდვას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

ბოლშევიკ-კომუნისტებმა ეს განგებ გააკეთეს. მათ უნდოდათ არა აჯანყების თავიდან აცილება, არამედ მისი პროვოცირება. ამბოხებით ბოლშევიკ-კომუნისტებს საბაბი ეძლეოდათ ქართველი ხალხი სისხლში ჩაეხრჩოთ. დაცინვით ამბობდა კიდეც სერგო ორჯონიკიძე — „აჯანყების" გმირებმა იძულებული გაგვხადეს ოდნავ გაგვეწმინდა ჩვენი თოფები" („მენშევიკების ავანტიურა საქართველოში", თბილისი 1924 წ., გვ. 15).

გაუგონარი სისასტიკით გაუსწორდნენ ბოლშევიკ-კომუნისტები არა მარტო აჯანყებულებს, არამედ მთელ ქართველ ხალხს. განურჩევლად ხოცავდნენ ბავშვსა თუ მოხუცს, ქალსა თუ ვაჟს, მუშასა თუ გლეხს, არისტოკრატსა თუ ბურჟუაზიას, ცალ-ცალკე თუ ჯგუფ-ჯგუფად. ამოწყვეტილია უამრავი ოჯახი, სადაც არცერთი სული არ გადარჩენილა ცოცხალი.

„უკეთესია რამდენიმე ათეული მენშევიკის, ნაციონალ-დემოკრატის მსხვერპლი, ვიდრე მუშისა და გლეხის ერთი წვეთი სისხლი", — თვალთმაქცობდა მუშების წინაშე ს.ორჯონიკიძე („მენშევიკების ავანტიურა საქართველოში", გვ. 6). იგი ურცხვად ტყუოდა: არც მუშების დანდობა ყოფილა და არც გლეხების, რადგან ისინიც აქტიურად მონაწილეობდნენ ამბოხებაში.

ამ ამბების მერე, ცოტა ხანი რომ გაივლის, 20-იან წლების ქართული ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, პროზაიკოსი მიხეილ ჯავახიშვილი დაწერს — „საზარელ არს ყიველი განგების ეთიკისა! დიდი არს ძალა ბედი-მდევრისა!" სერგო ორჯონიკიძესაც დაეწია ბედი-მდევარი. 1924 წლის აჯანყებიდან 13 წელიც არ იყო გასული, რომ იგი სისხლში მოცურავე იპოვეს საკუთარ ბინაში. დღესაც არავინ იცის ზუსტად — თავი მოიკლა თუ მიგზავნილმა მკვლელმა გააგორა.

1924 წლის აგვისტოს აჯანყება არ ყოფილა ქართველი არისტოკრატიისა და ბურჟუაზიის აჯანყება ქართველი გლეხებისა და მუშების წინააღმდეგ, როგორც გვარწმუნებდნენ კომუნისტი ისტორიკოსები.

1924 წლის აგვისტოს აჯანყება იყო ერთიანი ქართველი ხალხის, მისი გაუტეხელი სულის აჯანყება რუსეთის კომუნისტური იმპერიისა და მათი ქართველი დამქაშების წინააღმდეგ.

1925 წლის 31 ივლისს, კომუნისტურ სასამართლოში, აჯანყების ერთ-ერთმა მეთაურმა, 37 წლის ვექილმა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრმა იასონ ჯავახიშვილმა ასე დაამთავრა თავისი სიტყვა:

„ჩვენ ვიბრძოდით დამოუკიდებლობისათვის. აჯანყება წავაგეთ და ისინი, ვინც ამ აჯანყებას ვმესვეურობდით, წავალთ გოლგოთაზე".

და წავიდნენ კიდეც.

დამარცხებული არ ეთქმის იმას, ვისაც გული არ გასტეხია, ვინც სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდნილა, რადგან დღეს დამარცხებული ხვალ შეიძლება გამარჯვებული გახდეს. მთავარია და არსებითი სულიერი მხნეობისა და სიმტკიცის შენარჩუნება. ამ მხრივ ჩვენთვის 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას გაკვეთილის მნიშვნელობა აქვს ორივე თვალსაზრისით — როგორც პოლიტიკური მიამიტობის, ისე სულიერი მხნეობის თვალსაზრისით. ჩვენ უნდა გავთავისუფლდეთ პოლიტიკური მიამიტობისაგან და შევინარჩუნოთ სულიერი მხნეობა, სიმტკიცე და ვაჟკაცობა.

თუ დღევანდელი დამარცხების შემდეგაც მოვახერხებთ ჩვენი ხალხის დადებითი თვისებების შენარჩუნებას, მაშინ უეჭველად და უთუოდ ავაშენებთ დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოს.

ჩვენი გაზეთის მთავარი რედაქტორი ბატონი ნოდარ გრიგალაშვილი ამ დღეებში იმყოფებოდა ზემო და ქვემო სვანეთში. ზემო სვანეთი — მესტიის რაიონი, სრულ იზოლაციაშია. უახლოეს ნომრებში შემოგთავაზებთ ნოდარ გრიგალაშვილის ვრცელ ნარკვევს — „კალმასობა სვანეთის მთებში", სადაც ამ უმშვენიერესი კუთხის სავალალო ყოფაზე იქნება საუბარი. ამჯერად ვბეჭდავთ ინტერვიუს მესტიის გამგებელთან ბატონ ოთარ ნაკანთან.

ოთარ ნაკანი: ჩემი ხალხი არ არის ღირსი იმისა, რომ ასეთ სიდუხჭირესა და ყაჩაღების შიშში იყოს.

— ბ-ნო ოთარ, აფხაზეთთან მიმართებაში მესტიის რაიონს როგორც ფრონტისპირა კუთხეს, რაღაც როლი უნდა ეკისრებოდეს. თუ გაქვთ თქვენ რაიმე მისია ამ მხრივ მთავრობისგან დაკისრებული, იქნებ თქვენი ინიციატივით მოქმედებთ ან იქნებ ამ მხრივ საერთოდ არაფერი არ ხდება?

— სწორედ ამით დაიწყო ჩემი საქმიანობა. 30 მარტს ჩამოვედი სვანეთში. ორი ამოცანა იყო ჩემს წინაშე. 1. გამეხსნა გზები ხაიშისა და მის მიმდებარე ტერიტორიის ჩათვლით, რათა სურსათი შემოგვეტანა და მოგვეხდინა მოსახლეობის მობილიზაცია, საბრძოლო მზადყოფნა. გადაწყდა, ჩაგვეტარებინა არჩევნები. არჩევა კი უნდა მომხდარიყო ყველა საძმოდან.

9 აპრილამდე ყველა სოფელში ჩატარდა ყრილობა, სადაც არსებული მდგომარეობის მიმოხილვა კეთდებოდა. აქ მოწვეულები იყვნენ დელეგატები. ყრილობას ესწრებოდა გვარიდან ერთი კაცი. მთავარი საკითხი იყო, როგორ ვიცხოვროთ. გადაწყდა ისე, ჩვენს ტრადიციებს როგორც შეეფარდებოდა. მოწონებულ იქნა აზრი, რომ სოფლის ხელმძღვანელობა შემდგარიყო ნაფიცთა საბჭოსგან. არჩეული კაცი კი პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო ყველაფერზე, მათ შორის თავისი საძმოს წევრის დანაშაულზეც კი.

მე კატეგორიულად განვაცხადე, თუ სვანეთში დამხმარე ძალა შემოვიდა წესრიგის დასა[illegible]რებლად, ეს ჩვენი სირცხვილი იქნება და გადავდგები-მეთქი.

ჩემი გამგებლად დანიშვნის შემდეგ ცენტრიდან მოვიდა მეორე ბრძანება, რის საფუძველზეც მომენიჭა პოლკოვნიკის წოდება და დამეკისრა კომენდანტის ფუნქციები. ამავე დროს დავინიშნე ჰუბერში შტაბის უფროსად. ვაწარმოე მოლაპარაკება აფხაზებთან და ჩემი წვლილიც იყო, რომ შეწყდა შეტევა ხეობაში.

მთავარი მიზანი იყო კრიმინოგენული სიტუაციის გამოსწორება.

მე შევხვდი ყველა ჯურის ხალხს, თითქოს გამიგო ყველამ და აიკრძალა იარაღით სიარული. სამი თვის განმავლობაში ვერ ნახავდით ერთ თოფიან კაცსაც კი. მდგომარეობას ართულებდა ის, რომ ვინც ქალაქში გაგექცევათ, ყველა სვანეთში აფარებს თავს. ეს ის ხალხია, რომელიც სხვაგან ვერ იცხოვრებს და არ შეუძლიათ რუსეთში წასვლა. ეს არის დაბალი დონის გარეწართა მასა.

გაიხსნა გზები, შემოვიტანეთ 53 ტონა შაქარი, დავიწყეთ ფქვილის შემოზიდვაც. სულ შემოვიტანეთ 470 ტონა ფქვილი.

გადაწყდა დიდი ყრილობა ჩატარებულიყო 27 ივლისს, ხოლო 28 ივლისს, კვირიკობას, გადაწყვეტილება დაგვემტკიცებინა. ამჯერად იქ ყველა თემიდან გვესწრებოდნენ. ფარული კენჭისყრის შედეგად მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ სვანეთში შემოვიდეს დამხმარე ძალები. მე პირადად დიდ იმედს ვერ ვამყარებ მათზე, მაგრამ 56%-მა ასე გადაწყვიტა.

დიდი აჟიოტაჟია ატეხილი იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს სვანები აყაჩაღებდნენ ლტოლვილებს. უნდა განვაცხადო, რომ არავითარ დაყაჩაღებას ადგილი ჩვენი მხრიდან არ ჰქონია ლტოლვილების გადმოსვლის პირველ კვირას. მაგრამ როგორც ჩანს, შავი ძალები გამოჰყვნენ უკან ლტოლვილებს, რომელთაც იცოდნენ, ვის რა შესაძლებლობა ჰქონდა და სვანებიც ჩაითრიეს. ამის შემდეგ ჩვენმა ყაჩაღებმა ყველას გადააჭარბეს...

— ბ-ნო ოთარ, დარგობრივი სამინისტროები თუ ზრუნავენ თქვენზე, როგორც მაღალმთიან კუთხეზე?.

— მე მადლობელი ვარ ბატონ ზუბიტაშვილის, ნავთობპროდუქტებს, თუ რამე საშუალება აქვს, არ მაკლებს.

ანზორ ბურჯანაძეც მეხმარება, მაგრამ 200 ტონა ფქვილის შემოტანას ამჟამად აგვიანებს.

— ბ-ნო ოთარ, თუ არის იმედი, რომ სვანეთში კაცი ამოვა და მშვიდობით დაბრუნდება უკან. ვერტმფრენი აქ ვერ დადის, ხელისუფლებაც არანაირ გარანტიას არ იძლევა. იარაღიანი კაცის სიარული არც კანონით შეიძლება და არც ისეა სასურველი. არადა წახვალ უიარაღო, დაგიხვდება ყაჩაღი და წაგართმევს ყველაფერს, რაც გაბადია. ობიექტური და სუბიექტური მიზეზები ჩვენთვის ცნობილია; თქვენ, როგორც გამგებელს, გაქვთ იმედი, თუ ხელი გაქვთ ჩაქნეული. თუ რაიმე გზა არ იქნა მოძებნილი, ასეთ შემთხვევაში ალბათ კატასტროფა არ აგვცდება.

— 27 ივლისს ყრილობაზე განვაცხადე, რომ უნდა გადავდგე, რადგანაც ვერ შევძელი იმ საკითხის გადაწყვეტა, რასაც ჰქვია უსაფრთხოება. დღეს მე ამის თქმა არ შემიძლია. რადგან ამ ბოლო დროს ისე დაიძაბა სვანეთში კრიმინოგენული ვითარება, რომ ახლა წასვლა გაქცევა და ღალატი იქნება. მიჭირს მატერიალურად, მიჭირს სულიერადაც, მაგრამ გრძნობა იმისა, რომ ჩემს ხალხს რაიმე სიკეთე შემიძლია მოვუტანო, მაძლებინებს.

— მე თქვენ რამდენჯერმე ტყვიების ცეცხლშიც გნახეთ...

— ერთხელ სიკვდილი ყველას უწერია. ყველაფერს შევეჩვიე უკვე, აფხაზეთიდან დაწყებული ადგილობრივ ნაძირალებთან ბრძოლით დამთავრებული. ჩემი ხალხი არ არის ღირსი იმისა, რომ ასეთ სიდუხჭირესა და ყაჩაღების შიშში იყოს. ხმამაღალი სიტყვებია, მაგრამ მე თავის გაწირვაც შემიძლია ამ ხალხისათვის.

ბატონ ოთართან ინტერვიუს რომ მოვრჩი, გამგებლის კაბინეტში მისი მოადგილე ლტოლვილთა საკითხებში, თავადაც ლტოლვილი ბ-ნი ნ.ქალდანი და განათლების სისტემის ადრინდელი თავკაცი რაიონისა ნ.გუჯეჯიანი შემოვიდნენ, რომელთაც მესტიის ახალ გამგებელზე თბილი სიტყვების თქმა არ დაიშურეს. რაიონში ბევრი ასეთივე აზრის არის ოთარ ნაკანზე, მაგრამ ხელისუფლების მხარდაჭერის გარეშე იგი იქ ვერაფერს გახდება. ეს მხარდაჭერა კი მე იქ არაფერში მიგრძვნია.

ლ ო მ ს რაც უნდა მოფხანო...

ამ ორასი წლის მანძილზე, რაც ჩრდილოელმა „უფროსმა“ ძმამ „ჩაგვიხუტა“ გულში, არაერთხელ უცდიათ ამ „ჩახუტებისაგან“ თავმობეზრებულ ქართველებს თავის განთავისუფლება და გარკვეულ პერიოდებში, მართალია, მოკლე ხნით, მაგრამ მაინც გამოსვლიათ ეს. პარადოქსული ისაა, რომ „უფროსი“ ძმის მარწუხებისაგან თავდაღწევის და თავისუფლად ამოსუნთქვის დროც მაშინ, 1918-21 წლებში და ეხლაც, 1991-1994 წლებში, თითქმის ერთმანეთს ემთხვევა და კვლავ „ჩახუტების“ დროცა და მეთოდებიც თითქმის ერთნაირია. რა თქმა უნდა, აქ ისტორიული კანონზომიერებაცაა ალბათ გარკვეულწილად, მაგრამ ისიც ნათელია, რომ ქვეყნის ხელახალი დამონება ორივეჯერ იმანაც განაპირობა უმეტესწილად, რომ ჩვენებურმა „რუსეთუმეებმა“, ურუსეთოდ რომ ცხოვრება ვერ წარმოუდგენიათ და საკუთარი პრივილეგიებიც მხოლოდ რუსეთთან ერთად ყოფნით ჰქონდათ და აქვთ გარანტირებული, ყველაფერი იღონეს მაშინაც და ახლაც, რომ ტყვეობას ძლივს თავდაღწეულნი კვლავ მონობისაკენ მივქცეულიყავით და ორივეჯერ რაც მოვიმკეთ და ვიმკით, ეს ხომ ყველასათვის ცხადია.

„რუსეთუმეები“ მაშინაც და ახლაც ორი რუსეთის იდეას გვთავაზობდნენ და სანამ ჩვენ შავი თეთრისგან გავარჩიეთ, სანამ ერთ რუსეთს, ვითომ დემოკრატიულს, გუნდრუკი ვუკმიეთ, მეორე რუსეთმა, რეაქციულმა და აგრესიულმა, ხახა დააღო და ჩაგვყლაპა. არადა, ყველა ჭკუათმყოფელისთვის ხომ ცხადია, რომ ორივე რუსეთიც, დემოკრატიულიც და რეაქციულიც, როცა საქმე მის გარე ინტერესებს (იმპერიულ ზრახვებს) ეხება, ერთნაირად იქცევა და მოსაჩვენებლად (მავანი გულუბრყვილო პოლიტიკოსებისთვის) ერთმანეთს ლანძღავენ და ამ ურთიერთგინებაში კი იმ საქმეს აკეთებენ, რაც ორივე რუსეთს აძლევს ხელს.

სავალალო ის გახლავთ, რომ ისტორიამ ჭკუა ვერ გვასწავლა, და დღესაც იგივე შეცდომები მოგვდის, რაც მოგვდიოდა მაშინ, ამ სამოცდაათი წლის წინათ. თუმცა შეცდომაც არის და შეცდომაც. თუ პირველმა შეცდომამ კარგა დიდი ტერიტორიები დაგვაკარგვინა სამუდამოდ, არც დღევანდელმა შეცდომათა სერიებმა გვიქნა ნაკლები ამბავი, — სამაჩაბლოც დავკარგეთ, აფხაზეთიც და ისე სჩანს, სამცხე-ჯავახეთსაც გვედავებიან. შთამომავლობა, მომავლის საქართველო ამ დანაშაულებრივ შეცდომებს არ გვაპატიებს და შაგრენის ტყავივით შემოჭრილ-შემოკლებული საქართველოს შემყურე საუკუნო ანათემასაც გადაგვცემს.

არადა, გასაკვირია ამ „რუსეთუმეების“ ამბავი. ამ დალოცვილებს გაუნათლებლობას ნაღდად ვერ დასწამებ, ისტორიაც (რა თქმა უნდა, საქართველოს ისტორია, თუმცა ზოგიერთმა საბჭოთა კავშირის ისტორია უფრო უკეთ იცის) კარგად იციან და ისიც უწყიან, რაც დაგვმართა ამ თავგადადებულმა „რუსეთუმეობამ“, მაგრამ მაინც არ ეშვებიან, მაინც ზომაზე მეტად უქიცინებენ კუდს და თითქოს გველისაგან მონუსხულები, თავადვე მიძვრებიან მის ხახაში. ჯანდაბას, თუ საკუთარი თავი არ ენანებათ, ჩვენ რაღას გვერჩიან, ქვეყანას რას ერჩიან, რატომ ექაჩებიან ასე გამწარებით უფსკრულისაკენ?

მავანი და მავანი ამ სტრიქონების წაკითხვისას რუსთმოძულეობას დამწამებს, მაგრამ ეს ასე არ არის. რუსეთისადმი, მისი ლიტერატურისადმი, ხელოვნებისადმი, მისი კულტურისადმი მეც, ისევე როგორც ბევრ ქართველს, გარკვეული სიმპათიები და პატივისცემა გვაქვს და ბოლოს და ბოლოს, ჩემი თაობის ადამიანები და ჩემზე უფროსებიც სწორედ იმ პერიოდში გავიზარდეთ და ასე ვთქვათ, შეგნებულ ადამიანებად ჩამოვყალიბდით, როცა ყველაფერში რუსული და რუსი დომინირებდა და ბუნებრივია, ბევრი რამ გავითავისეთ მისი კულტურიდან, ხელოვნებიდან, ყოფითი წესებიდანაც და ამდენად, რუსი და რუსეთი უფრო ახლოა ჩვენთვის, ვიდრე, ვთქვათ, გერმანელი ან იტალიელი. ამიტომ, ჩვენს დიდ მეზობელთან რომ კეთილი, ტკბილი ურთიერთობები გვქონდეს, ამას ნაღდად მივესალმებით, მაგრამ მაინცდამაინც რომ „უფროს“ ძმად ვაღიაროთ და ყურმოჭრილ მონებად ვექცეთ, ამას კი ვერ მივესალმებით და რა ვქნათ.

ბევრი „რუსეთუმე“ დღეს თავიანთი, „რუსეთუმული“ არგუმენტების გასამაგრებლად ასეთ რამესაც ამბობს ხოლმე: ამდენი რომ ვლანძღეთ და ვლანძღეთ რუსეთი, იმიტომაც გვიჭირს ასე ყველაფერიო. რა თქმა უნდა, ეს უფრო უწიგნური „რუსეთუმეების“ მოსაზრებებია და არც ღირდა ამაზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ ხალხის გარკვეულ ნაწილში ამ აზრს იზიარებენ და ამიტომ, ერთი-ორი სიტყვით საჭიროა ამაზეც შევჩერდეთ. ჯერ ერთი, რუსეთი გინდა ლანძღე, გინდა აგინე, ამით მას იმპერიული სტრატეგიისაგან ვერ გადაახვევინებ, რადგან მისთვის ეს ყველაფერზე მაღლა დგას. ეს ჩვენი მთავრობა უკვე კარგა ხანია სულ მის ფერება-ფერებაშია, მაგრამ ამან არ შეუშალა ხელი არც აფხაზეთის დაკარგვას და არც მის დაბრუნებას შეუწყო ხელი (როგორც ფიქრობდნენ მავანნი და მავანნი). მოკლედ რომ ვთქვათ, ლომს რაც უნდა მოფხანო და ეფერო, თუ შენი შეჭმა აქვს განზრახული, მაინც შეგჭამს.

რა ხდება დღეს? რუსეთმა მიაღწია იმას, რომ აფხაზეთში სამშვიდობო მისია მხოლოდ თვითონ იკისრა, დადგა ენგურზე და ფაქტიურად, ამით საბოლოოდ მოგვწყვიტა აფხაზეთი, ამით მან ფაქტიურად დააფიქსირა საქართველო-აფხაზეთის საზღვარი და ახლა კოდორის ხეობის დაცლასაც მიელტვის ქართველთაგან, რომ იქაც თვითონ დადგეს და აფხაზეთში შესვლის ყველა გზა მოგვიჭრას. ყველა ის იმედი, რასაც შევარდნაძე და მისი გუნდი ამყარებდა რუსეთის სამშვიდობო ძალებზე, ფაქტიურად გაქარწყლდა და ახლო ხანში მშობლიურ კერაზე დაბრუნების დაპირებით გახარებული ლტოლვილები პირში ჩალაგამოვლებულნი დატოვა.

მეტიც, რუსი ენგურზე დადგა და ნაცვლად იმისა, რომ კონფლიქტის ზონა (ენგურსგაღმა) გაეკონტროლებინა და იქ აღეკვეთა აფხაზ-კაზაკ-სომეხ ბოევიკთა პარპაში და მოროდიორობა, ზუგდიდში [illegible] ხადა კომენდანტის [illegible] გდიდი კონფლიქტის ზონა არ გახლავთ) და ადგილობრივ, ნამეტნავად მონდომებულ ხელმძღვანელებთან ერთად ადგილობრივი მოსახლეობის განიარაღებას შეუდგა და კომენდანტის საათის დარღვევისთვის თუ მისი მომიზეზებით რამდენიმე ადგილობრივი მცხოვრებიც გაუყენა საიქიოს გზას.

ამასობაში კი გალში კვლავ გაჩაღდა ხოცვა-ჟლეტა და აფხაზ ექსტრემისტთა განუკითხავი პარპაში. რაც აქამდე დარჩათ გასანადგურებელი, იმასაც მიყვეს ხელი და არაერთ ადგილობრივ ქართველსაც მოუსწრაფეს სიცოცხლე.

დათვი რომ მოგერევა, ბაბაიც დაუძახე და ხელებიც აუწიეო. ეს ჩვენი წინაპრების გონივრული ნათქვამია. მაგრამ ისიც უთქვამთ ჩვენს წინაპრებს, რომ შვიდჯერ გაზომე და ერთხელ გადაჭრიო. სანამ დათვი თავის საქმეს იქმოდა, მანამდე უნდა გვეშველა თავისთვის, ამას ოპოზიციის გასაგონადაც ვამბობ (ხელისუფლებას თავისთავად ვგულისხმობ, თუმცა კი თვითონვე შეუწყო ხელი ამ დათვს ყველაფერში) და საერთოდ, ქართველების გასაგონადაც. ჩვენი ურთიერთქიშპობით, გაუტანლობით, ნიჰილიზმითა და ქვეყნის ბედისადმი გულცივი დამოკიდებულებით მივიყვანეთ ეს ქვეყანა აქამდე და სამწუხაროდ, არც დღეს იგრძნობა ქართველ კაცში იმისი დიდი სურვილი, რომ ხელები დაიკაპიწოს და ქვეყნის შენებას შეუდგეს. უფსკრული კი არც ისე შორსაა და თუ იქ ჩავიჩეხეთ,(თუ უკვე არ გადავჩეხილვართ) ეს უკვე სამუდამო იქნება.

სერგო ჯანაშია

„აჩი“, „ვაჩი“ და ასე შემდეგ...

დღეს ჩვენში ფირმების, კომპანიების, კონცერნ-ასოციაციების და მსგავსი ორგანიზაციების ბუმია და არცაა გასაკვირი — საბაზრო ეკონომიკის გზაზე შემდგარ ქვეყანაში ყველა გერგილიანი, მარიფათიანი და ოდნავ მონდომებული კაცი იმას ცდილობს, რომ ფირმა დააფუძნოს, იურიდიული პირი გახდეს, ბეჭედი ხელში მოიგდოს და თუ რამე საქმე ააწყო, ხომ კარგი, თუ არადა ბეჭედი მაინც ხომ ექნება. ვინ იცის, ეგებ როდესმე რამე საქმე „ავარდესო“.

ყველა საქმიან, წვრილ თუ მსხვილ ბიზნესში წარმატების მქონე კაცს უნდა მივესალმოთ და ხელიც უნდა შევუწყოთ, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ კოჭი ყოველთვის როდივარდება ალჩუზე და ღმერთმა არ ქნას, მაგრამ მავან ბიზნესმენს შეიძლება კოჭი ნაცარში ჩაუვარდეს, საქმემ არ გაუმართლოს ან უიღბლოდ გარისკოს და ასე და ამგვარად გაკოტრდეს. დასავლეთის ქვეყნებში, სადაც თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, შეიძლება ითქვას — აყვავების ხანაშია, ფირმებისა და მსგავსი კერძო სტრუქტურების გაკოტრებით ვერავის გააკვირვებ. შეიძლება ვცდები, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ წელიწადში იქ ათასობით წვრილი თუ მსხვილი ფირმა კოტრდება და ამის გამო მოსახლეობა არც გზებს კეტავს, არც მთავრობასთან მივარდება საჩივლელად და მით უმეტეს, არც „ბუნტს“ ტეხს. იქ, როგორც ცივილიზებულ ქვეყანას ეკადრება, მოქმედებს კანონი კოტრობის შესახებ და შესაბამისად, სამართლებრივი გზით წყდება ყველაფერი.

ჩვენთან კი რა ხდება?

ესა თუ ის ფირმა, მეტნაკლებად გაბედული და რისკიანი, ისეთ ვალდებულებებს კისრულობს, რომელსაც შემდეგ ვერ ასრულებს და საბოლოო ჯამში, ან საბრალდებო სკამზე ხვდება, ან უგზოუკვლოდ გარბის აქედან.

სამაგალითოდ ამ ბოლო დროს გახმაურებული სავაჭრო-სამრეწველო კომპანია „აჩის“ ამბებიც კმარა, რომელსაც, როგორც ამბობენ, ათი-თორმეტი ათასი მეანაბრე შეეწირა მსხვერპლად და დღეს პარლამენტის კართან საცოდავად ატუზულნი ხელისუფლებისგან ელიან ხსნას. ხელისუფლება კი ხელებს შლის, ჩვენ რა ვქნათ, კერძო ფირმაა, თქვენ ენდეთ და პასუხიც თქვენვე მოსთხოვეთო. თუმცა არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ხელისუფლებამ, სახელმწიფოს მეთაურმა გულთან მიიტანეს გაუბედურებულ მეანაბრეთა ამბავი და ცდილობენ როგორმე ხელში მოიგდონ ფირმის მესვეური, რომელსაც, ზოგიერთი ცნობით, თან აქვს წაღებული მეანაბრეთა თანხები.

მისასალმებელია ხელისუფალთა ასეთი გულისტკივილი გაუბედურებული ადამიანების ბედის მიმართ, მაგრამ პარადოქსული ისაა, რომ ზოგიერთი მაღალჩინოსანი პოლიციელი, როგორც ამბობენ, იმასაც აცხადებს თურმე, ამ საქმეში მაღალი ჩინოვნიკები არიან ჩარეულნიო.

ასეა თუ ისეა, სახელმწიფომ დროზე უნდა მიხედოს ამ საქმეს, თორემ ამდენი ფირმებისაგან მოტყუებულ-გამწარებული მეანაბრე, კაპიტალის მფლობელი მერე დასავლელ ბანკირსაც კი არ ენდობა და შავი დღისთვის გადანახულ თუ მუქთად ნაშოვნ ფულს ისე დამალავს, რომ დალპობამდე არ ანახებს მზეს.

ჯერ-ჯერობით კი „აჩი“ გაკოტრდა, მერე ალბათ „ვაჩი“ გაკოტრდება და ასე შემდეგ...

ს. რუხელი

ლიტვაში „ბოინგებს“ მოემსახურებიან

რუსეთის ყოფილი სამხედრო ავიაბაზის ტერიტორიაზე შიუალიაისთან შეიქმნება „ბოინგების“ ტექნიკური მომსახურების ცენტრი. ამის შესახებ იუწყება ლიტვის საგზაო მიმოსვლათა მინისტრი იონას ბირჟილიკისი.

უკვე ხელმოწერილია შეთანხმება ამერიკის ერთ-ერთ უმსხვილეს ავიაკომპანიასთან, რომლის თანახმადაც ახალი ცენტრი გაუწევს სარემონტო-ტექნიკურ მომსახურებას მთელს აღმოსავლეთ ევროპის რეგიონს. წინასწარი გაანგარიშებით, ერთობლივი საწარმოს მშენებლობა დაჯდება 12 მილიონი დოლარი.

„იზვესტია“ 12 ივლისი 1994 წ.

რედაქციისაგან: როგორც ვხედავთ, ჭეშმარიტად თავისუფალ ლიტვაში ჭეშმარიტი ბიზნესმენები დებენ კაპიტალს, თანაც ისეთი მასშტაბით, რომ ლიტვა ახლო ხანში, ალბათ, ევროპაში ერთ-ერთი მაღალგანვითარებული ქვეყანა გახდება, განსხვავებით ჩვენგან. ასეთია ჭეშმარიტი თავისუფლების ფასი.

საქართველოს გადარჩენა შეგვიძლია!

ნოდარ ნათაძე

I წესრიგის ღონისძიებები

1. **პირველი ნაბიჯი.** უნდა მოხდეს **მაფიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან.** დღეს მაფია, ანუ ორგანიზებულ დამნაშავეთა სამყარო, შერწყმულია სახელმწიფოსთან. უფრო კონკრეტულად: ამ სამყაროს გავლენიანი წარმომადგენლები ამავე დროს სახელმწიფოებრივი სტრუქტურების სათავეში არიან. ამის შედეგია ზემოხსენებული მაფიების გაბატონება სახელმწიფოში. მოსახლეობა იყოფა, ერთის მხრივ, იმ მოქალაქეებად, რომლებიც შედიან მაფიურ ბანდებში და მონაწილეობენ დანარჩენთა ძარცვაში, მეორეს მხრივ, იმ მოქალაქეებად, რომლებიც იძარცვებიან. ძარცვის ხარისხს (ანუ პირველთა რიცხვის ზრდას) მხოლოდ ერთი საზღვარი აქვს: ძარცვა გაძლიერდება მანამდე, სანამ გაძარცულებს მხოლოდ არსებობის საშუალებაღა დარჩებათ.

ძარცვა არის პირდაპირი (უშუალოდ წართმევის გზით) და არაპირდაპირი — ყოველ ბიზნესსა და წარმოებაში „წილში ჩაჯდომის" გზით. მეორე ფორმა უფრო დამანგრეველია, ვინაიდან იგი ეკონომიკას უფრო ორგზუნავს. განსაკუთრებით მწვავეა საზოგადოების ექსპლუატაციის მესამე ფორმა: ტერორის გზით ეკონომიკის მთელი დარგების მონოპოლიზაცია და ფასების ხელოვნური აწევა. (მაგალითად: „თუ ამა და ამ საქონელს შემოიტან და ამა და ამ ფასზე დაბლა გაყიდი, აგაფეთქებ"). ამის საწინააღმდეგოდ აუცილებელია:

ა. მაფიების ლიდერთა მოცილება სახელმწიფოს მართვის უმაღლესი ეშელონიდან

ბ. მაფიის დაუსჯელობის სინდრომის მოხსნა

გ. ზემოხსენებული მონოპოლისტური რეკეტისთვის სასჯელის განსაკუთრებით გამკაცრება ქონების სრული კონფისკაციის ჩათვლით.

დ. იმათი დასჯა, ჯარიმებისა და კონფისკაციების ჩათვლით, ვინც მაფიას „წილში ისვამს".

2. **მეორე ნაბიჯი.** ქუჩაში და გზაზე წესრიგის დამყარება. სახელდობრ, იმის მიღწევა, რომ:

ა. უფორმო კაცი ვერ გამოდიოდეს საბრძოლო იარაღით.

ბ. ფორმიანი კაცი მხოლოდ მაშინ გამოდიოდეს საბრძოლო იარაღით, როცა საბრძოლო დავალებას ასრულებს.

გ. შეიარაღებული ფორმირებები, გარდა კანონით გათვალისწინებულისა, დაიშალოს, ვისაც სამხედრო სამსახური უნდა, შევიდეს კანონიერ ნაწილებში, ვისაც არა, — თავისუფალი იყოს.

დ. საბრძოლო იარაღით აღჭურვილ კაცს ჰქონდეს მხოლოდ საბიუჯეტო ან სხვა კანონიერი შემოსავალი, არ იყოს შეიარაღებული ფორმირების მიერ თავის რჩენა „შეწერით" და ყაჩაღობით. ამის მიღწევა გაადვილდება, როცა გადადგმული იქნება ზემოხსენებული პირველი ნაბიჯი — მაფიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან. ეს მოხსნის „ზემოდან" იძულებას პოლიციის მიმართ, რომ დაკავებული დამნაშავეები გაუშვან და დამნაშავეთა ზოგი პრივილეგირებული კატეგორია „ვერ შეამჩნიონ".

ამ ორი ნაბიჯის არა მარტო სამართალდაცვითი, არამედ ეკონომიკური ეფექტიც უდიდესი იქნება, მაგალითად, საწვავის ფასი შემცირდება დაახლოებით ორჯერ, რაც ცხოვრების საერთო დონეს, როგორც ანგარიშობენ, 50 -ით მაინც აწევს. უსაფრთხოების გაზრდა და „წილში ჩამჯდართა" ჩამოცილება წარმოების გამოცოცხლების შესაძლებლობასაც შექმნის.

3. **მესამე ნაბიჯი.** გადამწყვეტი ბრძოლა ნარკობიზნესთან, რაც პირველი ორის პარალელურად, ახლავე უნდა მოხდეს როგორც კანონის გამკაცრების, ისე პრაქტიკული მუშაობის გაუმჯობესების გზით: მეცნიერული პროპაგანდის გაშლა ტელევიზიით, მეცნიერულად გათვლილი ფსიქოლოგიური გეგმის საფუძველზე.

4. **მეოთხე ნაბიჯი,** აგრეთვე პირველი სამის პარალელური, არის სამართალდამცავ ორგანოთა სისტემატური კონტროლი და წმენდა, რასაც დღეს აგრეთვე აძნელებს მაფიების ბატონობა სახელმწიფოში და სახელმწიფოზე.

ოთხივე ამ ნაბიჯის გადადგმას სჭირდება ძალისხმევა სახელმწიფოს მხრიდან. სახელმწიფო ხელისუფლებამ უნდა, როგორც იტყვიან, ხელები დაიკაპიწოს და საქმეში ჩაებას. მხოლოდ კონცეპტუალური გადაწყვეტებით — და მხოლოდ კანონმდებლობითაც კი — აქ შედეგს ვერ მიაღწევთ. დღევანდელ აღმასრულებელ ხელისუფლებას, როგორც, სამწუხაროდ, ვიცით, ამ ძალისხმევის უნარი არა აქვს.

5. **მეხუთე ნაბიჯი** უკვე საერთაშორისო პოლიტიკის ზღვარზე დგას. საქმე ისაა, რომ საქართველოში მეზობელი ქვეყნის მრავალათასიანი საიდუმლო სამსახურებია დასაქმებული, რომელთაც ერთ-ერთ მიზნად საქართველოს დესტაბილიზაცია და, საერთოდ, საქართველოს სახელმწიფოებრიობის საბოტაჟი აქვთ. ამ სამსახურებს დებულებითვე ეკუთვნით მუშაობა მოსახლეობაში, თავისი ქვეყნის სამხედრო ნაწილთან მიმდგომ ზონებში, რაც დღეს პრაქტიკულად მთელს საქართველოს მოიცავს. საჭიროა მათი უფლებამოსილებების მოხსნა პოლიტიკური ზეწოლის გზით, რაც, იურიდიულ სიზუსტესთან ერთად, მტკიცე პოზიციის დაჭერის უნარსაც მოითხოვს, და უცხო აგენტურის იმ ნაწილის გაუვნებლება (იზოლაცია), რომელიც ადგილობრივ ეროვნებებს (ქართველი, სომეხი, ასირიელი... და ა.შ.) ეკუთვნიან.

II. ეკონომიკური ღონისძიებები

ამ წესრიგდაცვითი ღონისძიებების გარდა გადაიდგმება ეკონომიკური ნაბიჯებიც, რასაც გააადვილებს წესრიგდაცვითი ღონისძიებების გატარება. სახელდობრ:

6. **მეექვსე ნაბიჯი.** სრული საჯაროობის შემოღება იმ თანხების და მატერიალური რესურსების ხარჯვაში, რომელთა ზომაც ზუსტად ცნობილია (სესხები, ჰუმანიტარული დახმარება). ეს დაიცავს საქართველოს ზემოხსენებულ ფასეულობათა თითქმის სანახევრო, ზოგჯერ კი თითქმის სრული დატაცებისაგან.

7. **მეშვიდე ნაბიჯი.** ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების გაწმენდა ქურდ-ბაცაცების და მექრთამეებისაგან და მათი პასუხისგებაში მიცემის წესად შემოღება, რაც ისევ და ისევ კონკრეტულ ძალისხმევას მოითხოვს.

8. **მერვე ნაბიჯი.** არსებული ბიზნესის აღრიცხვა და რაციონალური დაბეგვრა, რაც სახელმწიფოს შემოსავალს მისცემს. დაბეგვრის პოლიტიკით **წარმოების** სტიმულირება, ხოლო ვაჭრობაში — პირველი საჭიროების საგანთა იმპორტირების სტიმულირება.

9. **მეცხრე ნაბიჯი.** ეროვნული ბანკის მიერ მსოფლიოს სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციათა პოლიტიკის გატარება და საფინანსო პოლიტიკაში მათზე ორიენტაცია.

10. **მეათე ნაბიჯი.** მიწის პრივატიზაციის განახლება მის გაუნიავებლად და მასზე ზოგადეროვნული კონტროლის დაუკარგავად.

11. **მეთერთმეტე ნაბიჯი.** ფასების ლიბერალიზაცია (ანუ განთავისუფლება) ისეთ სფეროებში, სადაც კომერციის საგნად გამოყენებული მასალის რაოდენობა შეზღუდული არაა, სამაგიეროდ, სოციალური დაცვისადმი სახელმწიფოსმიერი სიფხიზლის განუხრელი დაცვა ისეთ სფეროებში, სადაც კომერციის საგანი რაოდენობრივად განსაზღვრულია და ამავე დროს საარსებო მნიშვნელობისაა (მაგალითად, თუ აშშ-ის მიერ ნაჩუქარი ასი ათასი ტონა ხორბალი სტიქიურად გაიყიდება, იგი მთლიანად წავა მეზობელ სახელმწიფოებში, მაგრამ ახალ ასიათას ტონას აღარ მივიღებთ). სოციალური დაცვის პროგრამათა მკაცრი განხორციელება პირველი აუცილებლობის საგნებზე.

12. **მეთორმეტე ნაბიჯი.** აღიკვეთოს, დიდი ჯარიმების პოლიტიკის გამოყენებით, საქართველოში წარმოებული საქონლის გაყიდვა სხვა ფულზე კუპონის გარდა.

13. **მეცამეტე ნაბიჯი** ისევ პოლიტიკას ემიჯნება. რუსეთის სამხედრო მოსამსახურეებს, რომელთა რაოდენობა საქართველოში იზრდება, ხელფასი უნდა მიეცეთ არა მანეთებით, როგორც დღეს, არამედ ბანკში გადახურდავების შედეგად მიღებული კუპონებით. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს მთელი სიმდიდრის მომხმარებელნი, სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ჩათვლით, მხოლოდ რუსები და რუსეთთან დაკავშირებული ადამიანები იქნებიან (რუსეთში მოსაქმე ქართველი ბიზნესმენების ჩათვლით).

14. **მეთოთხმეტე ნაბიჯი.** არარაციონალური გადასახადების მოხსნით ან შემცირებით სტიმული უნდა მიეცეს საქართველოდან გასული კაპიტალის და ბიზნესმენების კვლავ მობრუნებას საქართველოში, რაც სავსებით შესაძლებელი იქნება მაფიების ტერორის აღკვეთის შემთხვევაში.

15. **მეთხუთმეტე ნაბიჯი.** რეალური საბაჟო კონტროლის განხორციელება, რაც, ისევ და ისევ, ხელისუფლების ძალისხმევის უნარზეა დამოკიდებული მთლიანად.

როგორც ვხედავთ, ჩამოთვლილი ეკონომიკური ღონისძიებები გულისხმობს ეკონომიკის ბუნებრივი მექანიზმების შეგნებულ აყოლასაც, ანუ ჯანსაღი საბაზრო ეკონომიკის ხელშეწყობასა და განვითარების გზაზე სვლას, და სახელმწიფოს მიერ რეგულირებასაც. არც პროცესების მხოლოდ თვითდინებაზე მიშვება, რასაც დღეს მრავალნი მოითხოვენ, არც, მით უმეტეს, ადმინისტრირების მეთოდთა თუნდაც შეზღუდული გამოყენება არ არის — და ვერც იქნება — პერსპექტიული ჩვენი ეკონომიკის გაჯანსაღების თვალსაზრისით. ძალისხმევის უნარიანობას (რაც ჩვენი წარმატების აუცილებელი პირობაა), თავისი მხრივ, სჭირდება ფონი ქვეყანაში მნიშვნელოვანი სამხედრო ძალის არსებობის სახით.

III. შეიარაღებული ძალების მშენებლობის ღონისძიებები

16. **მეთექვსმეტე ნაბიჯი.** მოკლე ვადაში (რამდენიმე თვე) სწორი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ღონისძიებების გზით შეიქმნას **ჯანსაღი სოციალური ბაზა** შეიარაღებულ ძალთა მშენებლობისათვის. სახელდობრ:

ა) განისაზღვროს სახელმწიფოს მოვალეობა ჯარისკაცის წინაშე და სათანადო ფორმულირება ფართოდ ეცნობოს საზოგადოებას (კვება, ჩაცმა, მედდაცვა, საცხოვრებელი პირობები, შეიარაღება, გაწვრთნა ბრძოლაში გაყვანამდე). ამით გასაწვევ მოქალაქეს, მის ოჯახს მოეხსნებათ ჯარში არწასვლის ერთ-ერთი არსებითი მოტივი.

ბ) შემოღებულ იქნას და ფართოდ ეცნობოს მოსახლეობას **სოციალური** (და არა მხოლოდ სამართლებრივი) სანქციების მთელი სისტემა სამხედრო ვალმოუხდელთათვის და სოციალურ ჯილდოთა სისტემა ვალმოხდილთათვის.

17. **მეჩვიდმეტე ნაბიჯი.** ვინაიდან საქართველოს თავის სიღარიბის გამო დღეს არ შეუძლია ჯარში გაიწვიოს ყველა, ვისაც გაწვევა ეკუთვნის, შემოღებული იქნას ალტერნატიული (შრომითი) სამსახურების რაციონალური სისტემა, რომლის შედეგადაც სავალდებულო სამსახური მოიცავს **ყველას** (და არა მხოლოდ სოციალურად დაუცველ ადამიანებს) და რის შედეგადაც ხელი შეეწყობა არმიის მატერიალური რესურსების გაზრდას.

18. **მეთვრამეტე ნაბიჯი.** შეიქმნას და განვითარდეს (კორუფციისაგან თავისუფალ საწყისებზე) არმიის მომარაგებისთვის მეურნეობათა სისტემა სასაზღვრო ზონაში.

19. **მეცხრამეტე ნაბიჯი.** საქართველოსთვის საჭირო იარაღისა და ტყვია-წამლის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის წარმოება მოხდეს საქართველოში.

20. **მეოცე ნაბიჯი.** შემოღებულ იქნას და თანდათან საყოველთაო გახდეს სამხედრო მომზადება სკოლაში.

21. **ოცდამეერთე ნაბიჯი.** აღირიცხოს და მოწვეულ იქნას (მატერიალური დაინტერესებისთვის უძრავი ქონების გამოყენებით) ქართველი ოფიცრობა საქართველოს გარედან.

22. **ოცდამეორე ნაბიჯი.** გამოყენებულ იქნას ნატოს ქვეყნებში კადრის მომზადების ფართო შესაძ[illegible]ლობები.

ა[illegible]ნულის შედეგად საქართველოში შესაძლებელია რამდენიმეათასიანი პროფესიული არმიის და უფრო დიდი არაპროფესიული (გაწვევის ბაზაზე დაკომპლექტებული შეიარაღებული) ძალის შექმნა, რომელიც თავისი ბრძოლისუნარიანობით დაახლოებით გაუტოლდება ჩვენი უშუალო ორი მეზობლის — სომხეთის და აზერბაიჯანის — შეიარაღებულ ძალებს და შეძლებს ჩვენი თავდაცვის სამივე ძირითადი დღევანდელი ამოცანის გადაჭრას:

ა) შინაგანი სიმშვიდის გარანტიას (რასაც არ სჭირდება არმიის ჩაბმა მოქმედებაში, არამედ მისი დგომაც კმარა)

ბ) ტოლი პოტენციალის მქონე მოწინააღმდეგის გამკლავებას და

გ) მრავალჯერადად უფრო ძლიერი მოწინააღმდეგის გამკლავებას მანამდე, სანამ ეს უკანასკნელი თავის სახელმწიფო დროშას არ გაშლის და მხოლოდ სხვათა ხელით ომის ორგანიზაციას ან „მოხალისეებით" ომს დასჯერდება.

ჩამოთვლილი სამი კატეგორიის ამოცანების გადაჭრას (წესრიგდაცვითი, ეკონომიკური, სათავდაცვო), ერთად აღებულს, სჭირდება 30—50 ათასი სანდო და პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილი კაცი და ქალი, რომელიც ადმინისტრაციის, პოლიციისა და შეიარაღებული ძალების ბირთვი იქნება. წარმოდგენილი მოკლე პროგრამა გულისხმობს (პრაქტიკული გამოცდილების მონაცემებიდან გამომდინარე), რომ ეს პოტენციალი ქართველ ერში დღეს არსებობს.

IV. მტრის მიერ დროებით ოკუპირებული ტერიტორიის დაბრუნება

ამ ტერიტორიების მშვიდობიანი დაბრუნების ის გეგმა, რომელსაც დღეს ადგას საქართველოს მმართველი გუნდი ე.შევარდნაძის მეთაურობით, მეპირადად უტოპიურად მიმაჩნია. მაგრამ თუნდაც იგი რეალისტური იყოს, მაინც აუცილებელია თავის დაზღვევა მეორე, ალტერნატიული გზისთვის მზაობითაც, რისთვისაც საჭიროა შემდეგი ნაბიჯები.

23. **ოცდამესამე ნაბიჯი.** უნდა შეიქმნას (და დიდიხანია, უნდა შექმნილიყო) „მოწინააღმდეგის მიერ დროებით ოკუპირებული ტერიტორიების სახელმწიფო კომიტეტი", რომლის ხელმძღვანელი ვიცე-პრემიერის რანგში იქნება და რომელიც ამ ტერიტორიათა დაბრუნების გადაჭრაში დაასაქმებს **ლტოლვილთა ძირითად მასას,** რითაც მას დაიცავს გაფანტვისაგან, დემორალიზაციისაგან და სხვა სოციალური უბედურებებისაგან, რაც ლტოლვილ მოსახლეობას ემუქრება ყველგან. და ყოველთვის.

გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, რა თქმა უნდა, შეიარაღებულ ძალთა მშენებლობა, რომელიც წინამდებარე პროგრამაში 16-22 ნომრებით არის გადმოცემული.

24. **ოცდამეოთხე ნაბიჯი** უნდა

იყოს საქმისაგან მოცილება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა იმ მეთაურებისა, რომლებმაც თავისი გაუაზრებელი მოქმედებით ერის სამხედრო ცნობიერების პარალიზაცია მოახდინეს.

V. საგარეო პოლიტიკა

საქართველოს საგარეო პოლიტიკას შეუძლია, იყოს დამოუკიდებელი და ამავე დროს რეალისტური. დღეს (ცოტა ადრინდელი მდგომარეობისაგან განსხვავებით, ჩვენს დიდ რეგიონში (კავკასია, შავი ზღვისპირეთი, ახლო აღმოსავლეთი, შუა აზია) არ მოიპოვება ისეთი ძალა, რომელსაც შეუძლია თავისი სურვილი იმდაგვარად განახორციელოს, რომ არავის სხვას ანგარიში არ გაუწიოს. ჩვენი რეგიონის ყველაზე დიდი ძალა ცხადია, რუსეთია. მაგრამ ინტერესი დედამიწის ამ წერტილში აქვთ სხვებსაც — როგორც უშუალოდ მიმდებარე მცირე და საშუალო ქვეყნებს, ისე შორეულსაც, ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ს ჩათვლით. ამიტომ რუსეთის ნებისმიერი ნაბიჯი ჩვენ ქვეყანასთან მიმართებაში ამავე დროს მსოფლიოსთან მიმართებაში გადადგმული ნაბიჯი იქნება. რუსეთს აღარ შეუძლია თავისი გაშლილი დროშით შევიდეს ამ რეგიონის რომელიმე ქვეყანაში, როგორც, მაგალითად, ამერკავკასიის ქვეყნებში შემოვიდა 1920—1921 წლებში, მას არ შეუძლია დაუფარავად გადატრიალების მოხდენა სხვა ქვეყანაში და ა.შ.. შესაბამისად, ჩვენ საშუალება გვაქვს ინტერესთა ეს სხვაობა გამოვიყენოთ და, მხარეთა ინტერესების ბალანსირებით, ჩვენი საკუთარი ინტერესები დავიცვათ. ეს კი ნიშნავს: **არავისი დიქტატის უპირობოთ მიყოლის პოლიტიკა ჩვენ აღარ გვჭირდება.**

რუსეთის ინტერესები საქართველოში, და შესაბამისად, მისი გეგმები საქართველოს მიმართ შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს: პროგრამა — მაქსიმუმად და პროგრამა — მინიმუმად.

რუსეთის პროგრამა-მაქსიმუმი საქართველოს მიმართ შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: საქართველო ფედერალიზებულია, ანუ ოდნავ ურთიერთშეკავშირებულ პროვინციებად და ავტონომიებად დაყოფილი; რუსეთს საქართველოში სამხედრო ბაზები აქვს, ხელშეკრულებების დასტით ჩვენ შექმნილი გვაქვს ერთობლივი თავდაცვა, ერთობლივი საზღვრის დაცვა, ერთობლივი საბაჟო და ფინანსური სისტემა, ერთობლივი საგარეო პოლიტიკა; უნიფიცირებულია კანონმდებლობა; ჩვენი სამხედრო პოტენციალი, ფაქტობრივად, ნულის ტოლია; სუფევს მუდმივი დამნაშავეობა და განუკითხაობა; პროვინციებს თბილისის ცენტრალურ ხელისუფლებაზე მხოლოდ რუსის კეთილი ნება აბამს. ასევე, მხოლოდ რუსეთის კეთილი ნება აკავებს ჩრდილო კავკასიის ხალხებს ახალი ომისაგან საქართველოს წინააღმდეგ;

სსრკ-ს აღდგენაზე, როგორც რუსეთისთვის ყველაზე სასურველ გეგმაზე, აქ აღარ ვლაპარაკობ, რადგან ეს გეგმა განუხორციელებელია. სამაგიეროდ, ზემოხსენებულ გეგმა-მაქსიმუმს შესაძლოა ემატებოდეს საქართველოსაგან ტერიტორიის ჩამოცილებაც (რუსეთში შეყვანის ან მარიონეტული დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნის ფორმით).

რუსეთი იკავებს თავისი შეიარაღებული ძალებით საქართველოს მთელ სანაპიროს, მათ შორის ფოთსაც, რითაც გზას უკეტავს ოკეანისაკენ ამერკავკასიას მთლიანად და შუა აზიას. დასავლეთ-აღმოსავლეთის დერეფნის (ცენტრალური ევროპა-შუა აზია) შექმნის გეგმა დავიწყებას ეძლევა. შავი ზღვა რჩება, ფაქტობრივად, რუსულ ტბად, ხოლო შუა აზია მუდმივ ბლოკადის შიშის ქვეშ რჩება, რითაც მისი მომავალი მორჩილება გარანტირებულია.

პროგრამა მინიმუმი შემდეგია: საქართველო ნეიტრალურია (იგი არავისთან არ დებს სამხედრო კავშირს), არ ერჩის რუსეთს **გაეროში** და სხვა ფორუმებზე მისი კავკასიის ხალხებზე ბატონობის გამო.

საქართველო ითვალისწინებს რუსეთის ინტერესებს იმ სტრატეგიული ინფორმაციის მოპოვების მხრივ, რომელიც ეხება ახლო აღმოსავლეთის სივრცეს, იმ ფარგლებში, რომელშიც ეს სჭირდება თავდაცვას და მოულოდნელობათაგან გარანტიას; საქართველოში დროებით და საზღაურის გადახდევინებით რჩება რუსეთის ორიოდე სამხედრო ბაზა მკაცრად განსაზღვრული სათავდაცვო (და არა შეტევითი) პროფილით.

რუსეთი საკუთარი ნებით არ აიღებს ხელს თავის პროგრამა-მაქსიმუმზე და არ შეცვლის მას პროგრამა მინიმუმით. მაგრამ მისი პროგრამა — მაქსიმუმი ჩვენი ქვეყნისათვის მიუღებელია, ვინაიდან იგი ჩვენი სახელმწიფოს დანგრევას და ახლო მომავალში ისტორიის ასპარეზიდან ჩვენი ერის გაქრობას ნიშნავს. მაშასადამე, რუსეთი უნდა ვაიძულოთ ხელი აიღოს თავისი გეგმის რაღაც ნაწილზე (ჩვენთვის სრულებით მიუღებელ ნაწილზე) და დასჯერდეს მის მეორე (ჩვენთვის მისაღებ) ნაწილს. ეს იმას ნიშნავს, რომ მას წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ (სახელდობრ, პოლიტიკური წინააღმდეგობა პირველ ყოვლისა) და ეს პოლიტიკური ბრძოლა თავდაცვის იმ ზღუდეზე უნდა ჩავატაროთ, რომელიც ჩვენთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელია. ეს ნიშნავს შემდეგი ნაბიჯების გადადგმას:

25. **ოცდამეხუთე ნაბიჯი.** უნდა უარი ვუთხრათ ჩვენი ტერიტორიის ფარგლებში მოქმედების მანდატზე რუსეთის „მშვიდობისმყოველ“ ძალებს.

26. **ოცდამეექვსე ნაბიჯი.** უნდა მთელი დიპლომატიური კატეგორიულობით მოვთხოვოთ რუსეთს ჯარის გაყვანა საქართველოდან მთლიანად.

27.. **ოცდამეშვიდე ნაბიჯი,** უნდა გამოვიყენოთ გაეროს ტრიბუნა და ყველა სხვა ჩვენთვის ხელმისაწვდომი საერთაშორისო ტრიბუნა, რათა

ა) მხილებულ იქნას რუსეთის მიერ ქართველთა გენოციდის და საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ ამბოხებათა ინსპირირება.

ბ) მხილებულ იქნას რუსეთის კოლონიური პოლიტიკა ჩრდილოკავკასიაში.

28. **ოცდამერვე ნაბიჯი.** ოფიციალურად უნდა შეიზღუდოს საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ჯარების ფუნქციობა, გადაადგილების ჩათვლით, იმ ზომამდე, რაც აუცილებელია მათი არსებობისათვის საქართველოდან გასვლამდე.

29. **ოცდამეცხრე ნაბიჯი.** საქართველოს წარმომადგენელმა თანმიმდევრულად უნდა დაიცვას გაეროში ჩრდილო კავკასიელთა თავისუფლების ინტერესები იმ ფარგლებში, რომლებშიც ეს შესაძლებელია სახელმწიფოთა საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპთა შეულახავად.

30. **ოცდაშვიდე ნაბიჯი.** რუსეთთან მოლაპარაკება ერთობლივი ინტერესების შესახებ.

VI. მიმდინარე მომენტის საშიშროებანი. ხელისუფლების საკითხი.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესები (გარდა ბალტიის ქვეყნებისა) შეიძლება მოკლედ დახასიათდეს ასე: ერთის მხრივ მიდის სახელმწიფოებრიობის ახალ საფუძველზე **მშენებლობის** პროცესები, მეორეს მხრივ — სახელმწიფოებრიობის **რღვევის** პროცესები. ეს ეხება ყოფილ კოლონიებსაც და ყოფილ მეტროპოლიასაც, ოღონდ ყველას — სხვადასხვა ხარისხით: რუსეთში ნგრევის პროცესი უფრო სუსტია (რადგან გარედან მას არავინ უწყობს ხელს), საქართველოში — ყველაზე ძლიერი, რადგან გარედან მას ყველაზე მეტი ხელშეწყობა აქვს). სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესიც სხვადასხვაგვარად მიდის. უმრავლეს შემთხვევაში მისი კეთილი დასრულება (ანუ ახალ საფუძველზე სახელმწიფოებრიობის შექმნა) გარდაუვალია, ვინაიდან საზოგადოებას (უფრო მეტიც — ადამიანთა ნებისმიერ მასას) თვითრეგულირების ბუნებრივი მექანიზმები აქვს, მაგრამ გამორიცხული არაა თეორიულად, (და არც პრაქტიკულად), რომ ზოგან (სადაც გარედან ხელშეშლა ყველაზე ინტენსიურია) სახელმწიფოებრიობის განვითარება ფაქტობრივად ვერც მოხდეს. ქვეყნის ქაოსის საუკუნოვან ჭაობში ჩაეფლოს. დღეს რეალური ბრძოლა იმაზეა, თუ ვინ დაინგრევა უფრო გვიან და ვისი სახელმწიფოებრიობა აშენდება უფრო ადრე — რუსეთისა თუ რესპუბლიკებისა, ხოლო რესპუბლიკებს შორის — რომლისა. სწორედ დროის ამ მონაკვეთში — ამ გაურკვევლობის პერიოდში — ხდება იმის გადაწყვეტა, **თუ როგორ განაწილდება ტერიტორია და ურთიერთუფლებამოსილებანი ახალ სახელმწიფოებს — რუსეთსა და მის ყოფილ კოლონიებს შორის.** ამიტომ დღეს განსაკუთრებული სიფხიზლე გვმართებს საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადებაში. **იურიდიული პოზიციების დათმობა დღეს ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე უფრო დიდი (უფრო ზუსტად — აუნაზღაურებელი) ზარალი იქნება.**

თქმულიდან გამომდინარეობს, რომ ჩვენი აგრესიული მეზობლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა ორია: იურიდიული მოგება და საქართველოში სახელმწიფოებრიობის საბოტირება, ანუ დესტაბილიზაციის შექმნა და გაგრძელება უსასრულოდ. მისთვის არა აქვს მნიშვნელობა, როგორი იქნება ეს არასტაბილობა თავისი შინაარსით და ვის მიერ იქნება იგი შექმნილი — წითლების, შავების, კომბინატორების, უცხოეთზე მიყიდული აგენტების თუ წინდაუხედავი პატიოსანი პატრიოტების თუ ვინმე სხვა ძალების მიერ. მთავარია, იყოს უწესრიგობა. ამიტომ ჩვენი, ქართველი ერის ამოცანაა: სახელმწიფოებრიობის შენება და წესრიგის დაცვა ნებისმიერი ხელით გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს ხელი თვით უცხო აგენტისაა და როცა იგი ხელისუფლების აპარატს ჩვენი ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ მიმართავს. (როგორც ეს, მაგალითად, ძველი კომუნისტების ხელში იყო ტრადიციად). ჩვენი დამოკიდებულება ხელისუფლების საკითხისადმი სწორედ ამ ვითარებამ უნდა განსაზღვროს.

მე მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ შევარდნაძის ერთპიროვნული მმართველობის ყოველ საათს საქართველოსთვის დღეს ზიანი მოაქვს. მისი ყველა პოლიტიკური ნაბიჯი რუსეთის ინტერესების შესატყვისია და მისი ძალიან ბევრი ნაბიჯი საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოა. მაგრამ ამავე დროს იგი, როგორც სახელმწიფოს მეთაური, სტაბილობის ერთადერთი განმასახიერებელია, თავისი სარეკორდო სისუსტისა და ლამის სახელმწიფოდ ორგანიზებული მაფიის მფარველობის მიუხედავად. ამიტომ მე მიმაჩნია: მისი წასვლა საქართველოს მმართველის თანამდებობიდან უნდა **დაწყოს** დღესვე, მაგრამ არ შეიძლება იგი მოხდეს **უცბად,** რადგან ეს შექმნის **ხელისუფლების ვაკუუმს** (სიცარიელეს), რომლის (ვაკუუმის) არსებობა კი ყოვლად დაუშვებელია. ამიტომ მან უნდა სცადოს, თუკი სურს, ნაწილობრივ გაასწოროს ის ზიანი, რაც საქართველოს მისმა მართვამ მოუტანა. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში მისი ხელისუფლებიდან წასვლა (მისი უფლებამოსილებების შეკვეცის ან სახელმწიფოს მეთაურის ინსტიტუტის გაუქმებით დაწყებული) უნდა გაგრძელდეს იმდენ ხანს, რამდენიც სჭირდება მართვისუნარიანი ახალი სტრუქტურის შექმნას. ყველაზე უკეთესია, რომ ასეთი სტრუქტურა იყოს ახალი ადამიანებით დაკომპლექტებული მთავრობა (მინისტრთა კაბინეტი). ამით იმის თქმა არ მინდა, რომ თუ შევარდნაძემ ამ პროცესის დაწყება ან გაგრძელება არ ისურვა ან ზემოხსენებული ზიანის გასწორებაში მონაწილეობა არ მოინდომა, საქართველოს თავისი ხსნის ძალა არ ექნება. არა, საქართველოს მაინც შეეძლება თავის გადარჩენა. მე მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რა არის ოპტიმალური დღეს და რა გზა უნდა ეძიოს ყველა იმან, ვისაც საქართველოს გადარჩენა სწადია.

მინისტრთა კაბინეტის ფუნქცია და პასუხისმგებლობა დღეს განსაკუთრებით დიდია. საქმე ის გახლავთ, რომ რუსეთის აგრესიული ამოცანები დღეს სწორედ მინისტრთა კაბინეტზე გაივლის. შევარდნაძისა და ე.წ. მორჩილ-აგრესიული საპარლამენტო უმრავლესობის დანაშაულებრივი ნაბიჯის შედეგად საქართველო „ესენგეში“ ჩათრეული აღმოჩნდა. ახლა რუსეთის ამოცანაა საქართველოს ფაქტობრივი ხელთგდება მისი უძრავი ქონების, მიწების, წიაღის და ა.შ. დაპატრონების გზით. ყოველივე ამის განმგებელი და პატრონი არის მთავრობა (მინისტრთა კაბინეტი). ამიტომაცაა აუცილებელი, რომ იქ დღეს პოლიტიკურად ფხიზელი და ეროვნული პასუხისმგებლობის მქონე ადამიანები იყონ. მინისტრთა კაბინეტი დღეს ვეღარ იქნება მხოლოდ მნე, როგორც ახლაა, იგი დღეს პოლიტიკური ორგანო უნდა იყოს, რათა წინ აღუდგეს ჩვენი ქვეყნის ამჟერად უკვე კანონიერი ფორმით მიტაცების ამ მცდელობას.

რამდენადაც მე შემიძლია ვიმსჯელო ჩემ ხელთ არსებული შეზღუდული ინფორმაციის მიხედვით, ამ რამდენიმე თვის წინ რუსეთის იმპერიული ძალების გეგმა ჩვენი ქვეყნის [illegible] ოთხი ძირითადი პუნქტისაგან შედგებოდა: ა) შევარდნაძის გადაყენება ან მისთვის ფუნქციების ფაქტობრივი ჩამორთმევა, ბ) უკანონო შეიარაღებული ორგანიზაციის მაქსიმალური გაძლიერება, გ) პარლამენტის გარეკვა ან პარალიზაცია და დ) ხელისუფლების რეალური, მაგრამ არალეგიტიმური ორგანოს შექმნა „ეროვნული გადარჩენის კომიტეტის“ სახელით, რომელიც რუსეთის ბრძად მორჩილი ადამიანებით იქმნება დაკომპლექტებული. შემდეგ, რამდენადაც შემიძლია ვიმსჯელო, ამ გეგმაზე ხელი აიღეს — შესაძლოა, იმიტომ, რომ თავისი გეგმის აღმსრულებელი პრესტიჟიანი პიროვნება ან პიროვნებები ვერ იპოვეს. ამჟერად ის ძალა, რომელსაც ამზადებდნენ, ისევ მობილიზებული ჰყავთ, მაგრამ მხოლოდ შევარდნაძისადმი მუქარის ფუნქციით, რათა აიძულონ ის აკეთოს, რაც ჰსურთ.

ახალი კადრი, რომელსაც რუსები დაეყრდნობიან (და, ალბათ, ხელს შეუწყობენ ხელისუფლებაში მოსასვლელად) იმ შემთხვევაში, თუ შევარდნაძეს გადადგომა მოუხდა, ნარევი ტიპისა იქნება — მათთან შეთანხმებაში შესული, მაგრამ ამავე დროს ეროვნული მოძრაობის მონაწილე და პატრიოტული შეგნების მქონე. მე მიმაჩნია, რომ ამ ყაიდის პიროვნებებისთვის ქვეყნის საჭის ჩაბარება დღეს არ შეიძლება. იმის იმედი, რომ ისინი რუსების კეთილგანწყობას საქართველოს ინტერესებისთვის გამოიყენებენ — რომ არა მარტო მოინდომებენ, არამედ შეძლებენ კიდეც ამას — მაცდური იმედია. არ შეიძლება, რომ საქართველო-რუსეთის ინტერესების კომპრომისის საკითხები პიროვნების ცნობიერებაში, კერძოდ ისეთისაში წყდებოდეს, რომელიც ნაწილობრივ ჩვენკენაა და ნაწილობრივ მოწინააღმდეგის კაუჭზეა წამოგებული. ეს საკითხები უნდა წყდებოდეს მოლაპარაკების მაგიდასთან, რომელსაც ერთ მხარეს რუსეთის სრულფასოვანი წარმომადგენელი უზის, მეორე მხარეს კი საქართველოს სრულფასოვანი წარმომადგენელი. მოლაპარაკების შედეგებს უნდა ჰქონდეს წერილობითი ფიქსირებული ფორმა. შეთანხმების ყველა სხვა ფორმა საქართველოს მხარისათვის საზარალო იქნება.

საქართველოს ისტორიის მოცემულ ეტაპზე მე კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი მასობრივი ქუჩის აქციების, ვინაიდან მათი შედეგია დესტაბილიზაცია მასობრივი მასშტაბით. მე მიმაჩნია, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მწვავე ნაბიჯების გადადგმა, მაგრამ ეს ნაბიჯები მხოლოდ **ელიტარული** შეიძლება იყოს, ხოლო მასა უნდა მონაწილეობდეს პოლიტიკურ პროცესებში მხოლოდ როგორც ყველა რგოლის კანონიერი არჩევნების მონაწილე, მსჯელობის, განხილვის, საზოგადოებრივი აზრის სუბიექტი. 1991—92 წლების დეკემბერ-იანვრის გადატრიალების ყველაზე დიდ დანაშაულად მე მიმაჩნია ის, რომ პიროვნების (ხელისუფალის) წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა თვით ხელისუფლების სტრუქტურის, სახელმწიფო აპარატის, როგორც ასეთის, წინააღმდეგ ბრძოლად იქცა, რამაც ათასწლად დაამძიმა კანონიერად არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ იარაღის გამოსვლის ფაქტი.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ქრონიკა

საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა სააგენტო „იბერიაზე“ დაყრდნობით გავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს მოქალაქეთა კავშირი და გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია აწარმოებს მოლაპარაკებებს საქართველოს ეკონომიკაში რადიკალური რეფორმების თაობაზე.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პრესსამსახური უფლებამოსილია განაცხადოს, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება.

16 აგვისტოს გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიას ვიზიტად ესტუმრა აზერბაიჯანის პარტია „მუსავატის“ დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით:

ნასიბ ნასიბ-ზადე — პარტია „მუსავატის“ მდივანი საგარეო კავშირების დარგში;

პროფესორ ნიაზ მეხტი — მდივანი კონცენტუალური პრობლემების დარგში;

კომისიის თავმჯდომარეები ხალადინ იბრაგიმი და რაზვან ჰუსეინი.

სტუმრებს შეხვდნენ გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის თანათავმჯდომარე ნოდარ ნათაძე, პოლიტსაბჭოს წევრები ვახტანგ ხმალაძე და გურამ ბერიშვილი.

საუბარი შეეხო რეგიონში შექმნილ რთულ ვითარებას და ამ პარტიების მოსაზრებებს არსებული მდგომარეობიდან გამოსვლის თაობაზე.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ კვლავაც გააგრძელებენ შეხვედრებსა და კონსულტაციებს უფრო მჭიდრო თანამშრომლობის მიზნით.

18 აგვისტოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები ფრაქცია „რესპუბლიკელების“ თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის საბანკო ქვეკომისიის თავმჯდომარე გურამ ბერიშვილი შეხვდნენ მსოფლიო ბანკის აღმასრულებელი დირექტორის მრჩეველს მარინა ტოდოროვას.

მოხდა აზრთა ურთიერთგაცვლა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ შემოთავაზებული პროექტების შესახებ, აღინიშნა პოზიციათა თანხვედრა ყველა ძირითად საკითხში.

მხარეები შეთანხმდნენ, კვლავაც გააგრძელონ კონსულტაციები.

13-20 აგვისტოს პარლამენტის წევრები, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები ირაკლი მელაშვილი, ფრიდონ საყვარელიძე და გაიოზ როგავა იმყოფებოდნენ კოდორის ხეობაში, სადაც შეხვდნენ ადგილობრივ მოსახლეობასა და ხეობის დამცველ ქართულ შეიარაღებულ ძალებს.

გაიმართა შეხვედრები აგრეთვე გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა ჯგუფისა და რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებთან.

გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემებისა, რომლებიც სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს. გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის წინადადებები ზემოაღნიშნულ პრობლემათა გადაჭრის თაობაზე წარედგინება ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს.

31 აგვისტოს ფრაქცია „რესპუბლიკელების“ წარმომადგენლები შეხვდნენ სახელმწიფოს მეთაურს — პარლამენტის თავმჯდომარეს ედუარდ შევარდნაძეს. შეხვედრის პირველ ნაწილს ესწრებოდა საქართველოს თავდაცვის მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძე,რომელმაც გააკეთა ინფორმაცია აფხაზეთში, კერძოდ კოდორის ხეობაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

აფხაზეთის სამშვიდობო პროცესის შესახებ ფრაქცია „რესპუბლიკელების“ სკეპტიკური დამოკიდებულების საპასუხოდ პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას დამაიმედებლად მიაჩნია საქართველოსა და რუსეთის მაღალი თანამდებობის პირთა ბოლოდროინდელი შეხვედრების შედეგები.

ფრაქცია „რესპუბლიკელების“ წარმომადგენლები დაინტერესდნენ პარლამენტის თავმჯდომარის პოზიციით სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურული და თვისობრივი ცვლილებების აუცილებლობის თაობაზე.: ედუარდ შევარდნაძის აზრით, „ რესპუბლიკელთა“ წინადადება არადროულია, მიუღებელია, ხოლო არსებული ვითარების გათვალისწინებით სახელმწიფოს მეთაურის უფლებებიც მინიმალურია.

პარლამენტის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი განცხადება, რომ უახლოეს დღეებში გამოვა მისი ბრძანებულება ხელფასებისა და ფასების მოწესრიგების შესახებ და რომ ეს იქნება მტკივნეული, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯი.

„რესპუბლიკელებმა“ გამოხატეს თავისი აზრი საქართველოში ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობის ნელი ტემპებისა და არასწორი მიმართულების შესახებ და აღნიშნეს, რომ აუცილებელია საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების გაზიარება არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფულის პრობლემის სასწრაფოდ გადაჭრას. ყოველივე ზემოაღნიშნული კი შესაძლებელია მხოლოდ თანამოაზრეთა პოლიტიკური გუნდის არსებობის შემთხვევაში.

31 აგვისტო. 1994 წ.

გაერთიანებული
რესპუბლიკური პარტიის
პრეს-სამსახური

უმაღლესი განათლების მიღების მსურველთა საყურადღებოდ!

საზოგადოება „იმერეთთან“ არსებული დამოუკიდებელი
უნივერსიტეტი აგრძელებს საბუთების მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

სამართალმცოდნეობა
საერთაშორისო სამართალი
საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა მენეჯერი
ჯანმრთელობის სფეროს მენეჯერი
საბანკო საქმე
უცხო ენები
ხელოვნებათმცოდნეობა
ჟურნალისტიკა

უნივერსიტეტში სწავლება უფასოა, წარჩინებული სტუდენტები მიიღებენ სტიპენდიას.
უნივერსიტეტი დაკომპლექტებულია მაღალი კვალიფიკაციის პროფესორ-მასწავლებლებით.
ლექციების წასაკითხად მოწვეულნი არიან საზღვარგარეთიდან სპეციალისტები.
უნივერსიტეტს აქვს მჭიდრო კავშირი სხვადასხვა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებთან,
სადაც სტაჟირებას გაივლიან წარჩინებული სტუდენტები. უნივერსიტეტის წარჩინებული
კურსდამთავრებულნი უზრუნველყოფილნი იქნებიან სამუშაო ადგილებით.

იჩქარეთ, ადგილები შეზღუდულია.

საბუთების მიღება წარმოებს 15 სექტემბრამდე. სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში
დადებითშეფასებიანი აბიტურიენტები ჩაირიცხებიან უგამოცდოდ.

მისამართი: ჟ.შარტავას (ოფ. ანაგის) ქ. №20, 63-ე საშუალო სკოლის შენობა.
დავით აღმაშენებლის გამზ. 79. მეცნიერებისა და ტექნიკის სახლი,
მეორე სართული, ოთახი 26. ტელ: 95-72—07, 36—08-49
სარეკლამო სააგენტო NB

გაზეთი „საქართველო“ აქვეყნებს ფირმების, ორგანიზაციების და მოქალაქეთა სარეკლამო განცხადებებს

ᲕᲘᲧᲘᲓᲘ 1-ოთახიან, იზოლირებულ ბინას, ტელეფონით მეტრო „ვარკეთილთან“ ახლოს. ტელ: 93-83-07 პაატა

რედაქციისაგან:

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ბ-ნი ფრანგიშვილი მოხსენიებული იყო, როგორც ქართული დიასპორის ბიზნესმენი, მაშინ როდესაც იგი არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტი, რუსეთის მართვის პრობლემების ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი.

გაზეთში დაშვებული უზუსტობისათვის ბ-ნ ფრანგიშვილს ვუხდით ბოდიშს.

გახსენება
მერაბ ცხადაია

1992 წლის 2 მაისს ზუგდიდის მკვიდრის, ჭეშმარიტი ქართველი ვაჟკაცის, ზუგდიდელთა საიმედო თანამოქალაქის ვახტანგ ცხადაიას ოჯახი ტრაურმა მოიცვა. ტრაგიკულად დაიღუპა მისი უმცროსი ძმა, მთელი ქალაქისათვის საყვარელი ვაჟკაცი, 27 წლის მერაბ ცხადაია. დაობლებულია არა მხოლოდ შენი სახლი მერაბ, რომელიც შენს გატანჯულ დედასა და ძმას შენივე ფოტოსურათების გალერეად უქცევიათ და შენს ხატებას ესათუთებიან, არამედ დაობლებულია შენი ქუჩა, შენი საძმო.

სექტემბრის 8 რიცხვს, შენი დაბადების დღეს, უშენოდ ვხვდებით. დრომ ისე უხვად მოიტანა სისხლი და ცრემლები, სიკვდილს უნდა შეგეებოდა კაცი, მაგრამ ვერა და ვერ შეველიეთ უშენობას, მერაბ! „სიკვდილო,შვილი ნეტამცშენაც მოგცა“, მერაბ ცხადაიასთანა ლამაზ, ვაჟკაცურ და სიცოცხლით სავსე ახალგაზრდას უდროოდ ალარ წაიყვანდი...

მეგობრები

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
გელა ებანოიძე
ირმა ლომაური
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების
მოედანი, პუშკინის ქ. 5

ტელ: რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის
ინდექსი 66447

ფასი
სახელშეკრულებო